

# 24 საათი

## პოლიტიკა

პრაზიკანდის  
პიზიხის შუასაბა



საქართველოს პოლიტიკური  
სპექტრი რუსეთ-საქართველოს  
პრეზიდენტების შეხვედრას  
თავისებურ შეფასებას აძლევს -  
ოპოზიცია უკმაყოფილოა,  
სახელისუფლებო გუნდი კი  
დადებითად აფასებს.

A3

## ეკონომიკა

მთავრობა აჭარაში  
ტურიზტული  
ობიექტების  
პრივატიზაცია  
ინცხებს

აჭარის ტურისტული ობიექტები  
ინვესტირების მოლოდინშია.  
გუმბინ, ბათუმში სასტუმრო  
"ინტურისტის" წინ აჭარის  
საპრეზიდენტო ტურისტული  
ობიექტების პრეზენტაცია  
პრემიერ-მინისტრმა ზურაბ  
ჯავახიძემ გახსნა.

A4

## უცხოეთი

ინდონეზიის  
საპრეზიდენტო  
არჩევნების  
საპარაუდო შედეგები  
მართლდება



ინდონეზიელმა არჩევნების  
შემდეგ ქვეყნის დემოკრატიული  
გზით განვითარება სურთ.

A5

## ფოსტა

ფარეხიდან  
ქართული  
ამოძახილი

არმანი თბილისის მეექვსე სკოლაში  
სწავლობდა ოთხი წელი. შემდეგ,  
ფიქრობდნენ, რომ დროებით  
დაბრუნდნენ ირანში, მაგრამ  
გარემოება ისე ადგა, რომ  
დარჩნენ. არმანმა თავის ყოფილ  
მასწავლებელს თბილისში წერილი  
გამოუტანა...

A7

## ანიონი

	6/7	7/7
თბილისი	32 ☀	33 ☀
ქუთაისი	33 ☀	37 ☀
ბათუმი	31 ☀	36 ☀
სოხუმი	29 ☀	33 ☀
ფოთი	31 ☀	36 ☀
თალავი	30 ☀	32 ☀
ზუგდიდი	32 ☀	37 ☀
გორი	29 ☀	31 ☀
ახალციხე	29 ☀	32 ☀
ჭიათურა	32 ☀	36 ☀
ბაგრატიონი	28 ☀	31 ☀
სამცხე-ჯავახეთი	33 ☀	37 ☀

უცხოური ვალუტის  
ოფიციალური კურსი  
ლართან მიხედვით

აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.3606
გირვანქა სტერლ.	3.5148
რუბლი	0.0661

# საპარტიზმის საფრთხე ადკვეთილია

"ჩვენი პილიპილია ჩვენი გადაწყვეტილებით იამაყაბენ" -  
ამბობს პრაზიკანდი



ილია ლომიძის ფოტო

"გავა 50 და 100 წელიწადი და  
ჩვენი შვილიშვილები იამაყებენ,  
რომ ჩვენ ეს მნიშვნელოვანი სა-  
კითხი გადაწყვეტილება," - განაცხა-  
და გუმბინ საქართველოს პრეზიდენ-  
ტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელ-  
მაც აჭარის ავტონომიური რესპუბ-  
ლიკის სტატუსის შესახებ საკონს-  
ტიტუციო კანონს მოაწერა ხელი.  
"ამ დოკუმენტის მიღებით გადა-  
წყდა ქართული სახელმწიფოებრი-  
ობის ერთ-ერთი ფუნდამენტური  
საკითხი. ერთი მხრივ, ვაკანონ-  
ებთ აჭარის ავტონომიური რეს-

პუბლიკის სტატუსს საქართვე-  
ლოს შემადგენლობაში, მეორე  
მხრივ, კანონი ყველანაირ საფუ-  
ძველს ართმევს სეპარატიზმის  
გამოვლინებას დღეს და ათი წლის  
შემდეგ აჭარის ტერიტორიაზე"...  
სააკაშვილი გმობის ტოლფასად  
მიიჩნევს იმ დეპუტატების ქმედებ-  
ას, რომლებმაც პარლამენტში კან-  
ონპროექტს მხარი დაუჭირეს.  
მიხეილ სააკაშვილი აჭარელ  
ხალხს ყოველგვარი მიკიბე-მოკიბ-  
ვის გარეშე უცხადებს, რომ რეგი-  
ონს ვერ მიენიჭება რაიმე განსაკუ-

თრებული სტატუსი, რომელიც სა-  
ქართველოს საკონსტიტუციო სი-  
ვრცეში აჭარის ყოფნას ეფუძნება  
დააყენებს. ამავე დროს, სააკაშვი-  
ლი აჭარას გარდამავალ პერიოდში  
გარკვეულ შედეგებზე უნდესებს  
ეკონომიკური პრივილეგიების სა-  
ხით. პრეზიდენტის ნებთ, საბაჟო  
და საგადასახადო მოსაკრებელის  
მნიშვნელოვანი ნაწილი აჭარის  
რეგიონის ინფრასტრუქტურის გა-  
ნვითარებას მოხმარდება. "აჭარის  
თითოეულმა მცხოვრებმა უნდა  
დინახოს, რომ მისი ცხოვრება

უკეთესობისკენ შეიცვალა," - სა-  
აკაშვილი აჭარელ ხალხს პირდა-  
პირად აცხადებს, რომ ასლან აბაშიძის უკანონო  
ქონებას მთლიანად მას გადასცე-  
მს. პრეზიდენტი დღის წესრიგში  
აყენებს აჭარაში მოსკოვის მერის  
იური ლუჟკოვის ქონების ნარმო-  
მავლობას. თუ ამ ქონების არაკან-  
ონიერება დამტკიცდება, თანხა  
მთლიანად აჭარაში ეკონომიკური  
და სოციალური პრობლემების მო-  
გვარებას მოხმარდება.

ბაგრძობა A3 გვერდზე

## "ლუჟკოვთან საკავშირი ცხად მართალია"

რუსადან ნიკარაძე  
სა. კორ. მოსკოვი

დღეს-ს პრეზიდენტის  
არაფორმალური სამიჯის  
შათბეჭდილებებს გვიზიარებს  
რუსეთის საგარეოპოლიტიკური  
ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი,  
პოლიტოლოგი სერგეი  
კორტუნოვი.

- როგორ აფასებთ პუტინ-სა-  
აკაშვილის შეხვედრის შედეგებს?  
- საქართველოს ახალმა ხელი-  
სუფლებამ დაიჯერა ოფიციალური  
მოსკოვის შეუვალი პოზიცია, რომ  
სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი სუ-  
ლაც არ არის აჭარა; რომ ამ ორ  
რეგიონში "ვარდების რევოლუცი-  
ას" მოსკოვი არ ელოდება. ეს იმას  
ნიშნავს, რომ პუტინთან შეხვედრის  
შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა  
სხვაგვარად, ახლებურად უნდა იმ-  
ქმედოს.

- როგორ უნდა იმოქმედოს სა-  
აკაშვილმა - კომპრომისულ ნაბი-  
ჯებს გულისხმობთ თუ პირიქით?

- გაუმართლებელია, მოსკოვს  
თხოვდნენ მხარდაჭერას სამხრეთ  
ოსეთისა და აფხაზეთის საქართვე-  
ლოში ძალით დაბრუნებაზე, სანამ  
თბილისი არ გახდება მათთვის მიმ-  
ზიდველი და საინტერესო. ამის გა-  
კეთება ძნელია, რადგანაც ამ ხალ-  
ხებისთვის თბილისი საინტერესო  
აღარ არის, ეკონომიკურად დასუს-  
ტებულ საქართველოში ყოფნა მათ  
არ სურთ, ხეირი ნაკლები აქვთ. ამ-  
იტომ იქნებ რუსეთთან, დასავლე-  
თთან ერთობლივი ეკონომიკური  
პროექტების ამუშავებით მოხერხ-  
დეს ოსებისა და აფხაზების საქარ-  
თველოთი დაინტერესება.

ბაგრძობა A3 გვერდზე

## საქართველო ვალდაულებების გადავადებას ითხოვს

გიორგი ასანიშვილი

ევროსაბჭო იმ თამასუქების  
განადღებას ითხოვს, რომელსაც  
საქართველომ ამ ორგანიზაციაში  
გაწევრიანების დროს მოაწერა  
ხელი. თუმცა, თბილისში სტუმრად  
მყოფი, ევროსაბჭოს  
საპარლამენტო ასამბლეის  
მონიტორინგის კომიტეტის  
წარმომადგენლები მათიას იორში  
და სერგეი კორილოვი  
საქართველოს ხელისუფლებას  
ულაპარაკებთან, რადგან კარგად  
ესმით, რომ ზოგიერთი  
ვალდებულების დათქმულ  
ვადებში შესრულება,  
პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ბაგრძობა A3 გვერდზე

ფართო საინფორმაციო საიტო, ანალიტიკა, სახიზაბო, სახანო, ანარატიკული სფეროს მონიტორინგი, ანარალიტიკური  
გამოძიება, კულტურისა და სპორტის სიხაბაბი, საათური კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე  
მრავალენოვანი ანალიტიკა.

"24 საათის" რედაქტორი - სააკაშვილი; "გიორგი"; "დადაქალაქი"; "მონაფიქი"; "ავტონომიური"; "პროტესტი"; "საქსაშახაბაბი";  
"მეცნიერება და ტექნიკა"; "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "საბაგრაძე იურიტიკა აკონსტიტუციონალი" და "სოფლის ფორმის" განუხრატავს მოძალაქეებს გათ  
უფლებასა და მოვალეობას. გათმობისგზიზიზიანს გათ საბაგრაძე და საბაგრაძელო საკონსტიტუციონალი.

"24 საათი" აქსელერირებულ კომუნიკაციას მოქმედებს - პრაზიკანდის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო  
სტრუქტურების ხარაბაბას, დადგინებაბას, სახელმწიფო მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებაბი ხელშეკრულის თარაბაბა უნდა დაიდოს უხალოდ გაბათის დირაქტიკაბა, რათა გამოიჩინოს გაბაგრაძეები  
და უხარვეზოფილი იქონს მონობაბის სტაბილურობა.

ხელშეკრულების ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;  
3 თვით - 39 ლარი;  
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაკე-ფშავლას 45, მე-14 სართული  
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10  
საბანკო რეკვიზიტები: "თბილისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი  
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

### პირველი ქაჩა - პირველი პროექტი

ქალაქის ხელმძღვანელობა თბილისის გზების ფართომასშტაბიან რეაბილიტაციას იწყებს



თბილისში ქუჩების კაპიტალური შეკეთება დაიწყო.

თბილისის მერიამ ქალაქის გზების ფართომასშტაბიანი რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება დაიწყო. პირველ "მერცხლად" ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურმა ვაჟა-ფშაველას გამზირი შეარჩია. გუშინ იქ გზის ერთ კილომეტრიანი მონაკვეთი კაპიტალურად შეკეთდა. დღეს ანალოგიური სამუშაოები დაიწყება დიდი დილმის პეტრიწის ქუჩაზე და ისანში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე. პროექტი, სავარაუდოდ, ოთხ თვეს გასტანს. მის ფარგლებში, ორმოცამდე ქუჩა შეკეთდება კაპიტალურად, დანარჩენი კი ფრაგმენტულად, გზის საფარის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქის მერმა ზურმა ჭიბუხრაშვილმა მოინახულა: "დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება, რომელიც მთლიანად მთელ ქალაქს მოიცავს. განსაკუთრებული ყურადღება თბილისის შემოსასვლელებსა და სანაპიროებს მიექცევა. კაპიტალურად შეკეთდება დიდი სამაგისტრალი ქუჩები, დანარჩენი - ფრაგმენტულად. მართალია, მთლიანად ვერ მოვაჭერებთ გზების პრობლემას, მაგრამ რამდენიმე თვეში საგრძნობლად გაუმჯობესდება სამობრაო გზების მოხმარება. ამ პროექტის განხორციელება შეზონარა და, სავარაუდოდ, ოთხ თვეს გასტანს. მაგრამ, ანალოგიური პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტშიც იქნება გათვალისწინებული. ამიტომ, ქალაქის მერიას შემოდგომაზე მზად უნდა ჰქონდეს მომავალი წლის გზების სარეაბილიტაციო გეგმა".

ორი კვირის ვადაში თბილისის ხელმძღვანელობა საზოგადოების წარუდგენს თბილისის გზების რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმას, სადაც დასახელებულია იმ გზების ჩამონათვალი, რომელიც პროექტის ფარგლებში კაპიტალურად შეკეთდება; აგრეთვე, პროექტის ფარგლებში ყალიბდება საზოგადოებრივი მონიტორინგის სამსახური, რომელიც გზების რეაბილიტაციის პროცესს გააკონტროლებს. მიმდინარე პროექტის შესასრულებლად ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 25 მილიონი ლარი. დამატებითი თანხები - ხუთ-ხუთი მილიონი დოლარი, გადმორიცხეს მსოფლიო ბანკმა და უკვე ტიტის ფონდმა. ორი-სამი წლის განმავლობაში გზების რეფორმის შედეგად თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური, როგორც გვირგვინიან, შექმნის მომსახურების ახალ სისტემას, რომლის საშუალებითაც, ფრაგმენტული დაზიანების შემთხვევაში, გზები ოპერატიულად შეკეთდება.

ნინო ბერელიძე

### ჰაბაში დასახლებაულ საუკეთესო იურისტთა სიაში ქართველი მოხვდა

აფხაზეთის იუსტიციის ყოფილი მინისტრი პაატა დავითაია ჰაბაის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ასოციაციის მიერ საუკეთესო ქართველი იურისტად იქნა აღიარებული.

თავად პაატა დავითაიას თქმით, ასოციაციის დამფუძნებლები არიან რომის სტატუტის აღმასრულებელი მდივანი რიო ლი, ცნობილი იურისტი ივანე მისა-მართლე ანტონიო გასკე და სხვები.

პაატა დავითაია საუკეთესო იურისტთა სიაში ეთნონომიკისა და გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის იქნა დასახელებული. ჰაბაის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ასოციაციის მიერ, დავითაიასთან ერთად, საუკეთესო იურისტად ისრაელის, აზერბაიჯანის იუსტიციის წარმომადგენლები და ჰაბაის მერი დასახელებდნენ.

პაატა დავითაიამ გასულ წელს ჰაბაის საერთაშორისო სასამართლოში აფხაზეთში მომხდარ დანაშაულებას დასაბამოდა და სხვა დოკუმენტაციები წარადგინა. დავითაია სასამართლოში სპეციალური მოხსენებითაც წარდგა.

პაატა დავითაია ამჟამად თსუ-ში და ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს.

ინტერ-პრესი

### ძახნილები სვანეთს თავს კვლავ აფარებენ

მესტიის რაიონში, სოფელ ეცერის ტერიტორია, ევრეთ ნოდებელი, ეცერი-შავი ლელეს გზა განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი. როგორც მესტიის რაიონის პოლიციის უფროსი თემურ გვარამია აცხადებს, ამ გზას ადრე აფრასიძეების ცნობილი დაჯგუფება აკონტროლებდა, თუმცა, მათი ლიკვიდაციის მიუხედავად, ეს მონაკვეთი კომინალებისგან ჯერ ბოლომდე დატოვლილი არ არის.

მიხედვით, რამდენიმე სპეცოპერაცია უკვე ჩატარდა, მაგრამ რაიონში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის ძებნილი პირები კვლავ რჩებიან, რამდენიმე მათგანმა რაიონის ტერიტორიის დატოვებაც მოახერხა.

მესტიის რაიონში, კრიმინოგენული ვითარების გამო, კვლავ პრობლემა ხელფასებისა და პენსიებისთვის განკუთვნილი თანხის გადახდასა. ამ დღეებში ამ თანხის დარიცხვა მხოლოდ პოლიციელების თანხლებით მოხერხდა. სვანეთში ჩასულ უცხოელ ტურისტებსაც პოლიცია აცილებს.

მედი-ნიუსი

### 316 ისპრის ბაღში

გუშინ, გამთენიისას, გალის რაიონის სოფელ საბერიოში, რუსეთის სამშვიდობო ძალების 211-ე საკონტროლო ვაშკეები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე სროლის ხმა ისმოდა. სროლა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა, არავინ დაზარალებულა.

რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების განცხადებით, დაუდგენელი პირები რუსეთის სამშვიდობო ძალების პოსტზე თავდასხმას აპირებდნენ და მას შემდეგ, რაც წინააღმდეგობას წააწყდნენ, ამ განხრახვაზე ხელი აიღეს. მომხდარის შესახებ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა გაერო-სა და ქართულ მხარეს შეატყობინა, რის შემდეგაც ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლები, ასევე ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის წევრები შემთხვევის ადგილზე გავიდნენ და დათვალეირეს ტერიტორია.

ქართული მხარე აცხადებს, რომ არანაირი სერიოზული შეტაკება საბერიოს ტერიტორიაზე არ მოხდებოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ დაზარალებულა.

ქართული მხარის წარმომადგენლის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების გალის განყოფილების უფროსის ვია ბარამიას განცხადებით, ამცხადებს, რომ სროლებში ქართველი პარტიზანების, ან ქართველი ეროვნების სხვა პირების დადანაშაულება აბსურდული და ქართული მხარე ამ თავდასხმაზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებს.

აფხაზური მხარის განცხადებით კი, ქართული მხარე ხშირად მიმართავს ამგვარ თავდასხმებს რუსეთის სამშვიდობო ძალების პოსტზე, რათა გამოიწვიოს დესტაბილიზაცია კონფლიქტის ზონაში.

აფხაზურ მხარეს ერთგვარად ევერს უკრავს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ვიანესლა სედოვი, რომელიც ამბობს, რომ ოთხმხრივი კომისიამ დაადგინა - სროლა ქართული მხრიდან აღტყდა.

სრულიად საინააღმდეგოს ამბობს ოთხმხრივი კომისიის წევრი, ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ვალერი ჯავაროძე. მისი თქმით: "მოუხედავად იმისა, რომ რუს სამშვიდობოთა ხელმძღვანელობა თავდასხმაზე საუბრობს, სპეციალურად შექმნილია კომისია, რომელიც შემხვედრის ადგილზე გავიდა, თავდასხმის ვერანარი კვალ ვერ აღმოაჩინა".

მექიც, საინფორმაციო სააგენტო "მედია-ნიუსის" ინფორმაციით, ქართველი სამართალდამცველები გალის რაიონის სოფელ საბერიოში რუსი სამშვიდობო ძალების საგუშაგოსთან მიმდინარე სროლებს პროვოცირებდა აფხაზეთს და არ გამოირიცხებენ, რომ მსგავსი ინციდენტები კვლავაც განმეორდეს.

24 საათი

### ალბერტო სოლისი კომენტარს არ აკეთებს

საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი სამი თვის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. სოლისი, სამშობლოში წასვლამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაკითხა. თბილისის პროკურატურამ გადასახადების დაფარვის ბრალდებით ჯერ ბაზრის აღმასრულებელი დირექტორი სოსო ნატროშვილი დააკავა, ხოლო შემდეგ კითხვები უკვე სოლისის მიმართ გაუჩნდა. როგორც "ინტერ-პრესისთვის" გახდა ცნობილი, სოლისმა ბაზრის შესაძლო გაუქმების თაობაზე ენერჯეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის იდეის შესახებ უკვე შეიტყო, თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას არ ჩქარობს.

საბითუმო ბაზარში აცხადებენ, რომ ენერგოსექტორი საბაზრო პრინციპებზე რუსეთს და სხვა უფრო განვითარებულ ქვეყნებს ახლა გადააწყვეტს. "საქართველოში ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის გაუქმება ხელს შეუშლის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, რადგან საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ენერგოსექტორი ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნაა", - აცხადებენ ბაზარში. "იბერროლა" საბითუმო ბაზარში ხუთწლიანი მართვის უფლებით 2002 წლის თებერვალში შევიდა. ესპანელები ხუთწლიან მეწევენტეს ბაზარში მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში ახორციელებდნენ. "იბერდროლაშ" მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა.

ინტერ-პრესი

### სოქობათის ხალისაფლას რუსეთის იმადი აქვს

სამხრეთ ოსეთი წინააღმდეგობა, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით შევიდეს, - პრეზიდენტ სააკაშვილის პოზიციის კომენტარებისას, აცხადებს თვითღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის განკუთრებული დედალენი მინისტრი, შერეულ საკონტროლო კომისიამ ოსური მხარის წარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი. შეგახსენებთ, რომ ქართული მხარე თანახმაა, სამხრეთ ოსეთს მისცეს ის გარანტიები, რომელსაც რუსეთის შემადგენლობაში ფლობს ჩრდილოეთ ოსეთი.

ჩოჩიევის აზრით, საქართველო, სავარაუდოდ, აგრესიას მიმართავს. "ამის თქმის საფუძველს შერეულ საკონტროლო კომისიამ ქართული მხარის დემარშო გაგდევს. სამხრეთ ოსეთის საზღვრის პერიმეტრზე თხრანი სანგრებს. ეს დაფიქსირეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა, მათ შორის, ეუთო-ს წარმომადგენლებმა", - განაცხადა ჩოჩიევი. მისივე თქმით, თუ საქართველო აგრესიას მიმართავს, მაშინ მათ ისლ დატრეწილი, თავი დავიცვან. "გვეჯერა, რომ რუსეთი დაგვიცავს, დაიცავს თავისი მოქალაქეების ინტერესებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთში ცხოვრობენ", - განაცხადა ჩოჩიევი.

მედი-ნიუსი

### "შაკვაი" "ნილას" ძველებურად იღებენ

რუსეთის პოლიციის უფროსად რამდენიმე დღის წინ დანიშნული დავით ცირეკიძე ქალაქში არსებული საწარმოების ხელმძღვანელებთან შეხვედრას ითხოვს. მისი ინფორმაციით, რუსეთში მომუშავე წარმოებების უმრავლესობიდან "შავი სამყაროს" წარმომადგენლები, იგივე "კანონიერი ქურდები", კვლავ ძველებურად იღებენ "ნილას". ცირეკიძის ნათესავი ქვემო ქართლის მხარის პოლიციის ასევე ახლადდანიშნული უფროსი კობა შარვაშიძე ადასტურებს. "გვაქვს ინფორმაცია, რომ მათ გარკვეულ ბიზნესწრეებში და სანარმოებში გარკვეული ინტერესები დარჩა. ამ ეტაპზე კონკრეტულად თავს შევიკავებ, რადგან ეს ინფორმაცია ჯერ დამუშავების სტადიაშია", - აცხადებს შარვაშიძე. მისი თქმით, სულ მხარის მასშტაბით დაახლოებით 5-6 კანონიერი ქურდები ინტერესები იკავებდა, რომლებმაც რეგიონალური შემდეგ ქვეყანა დატოვეს, თუმცა "ნილების" აღება მაინც ახერხებენ.

24 საათი

### ვის სჭირდება დავნილია მონაცემები



შეხვედრამდე მათ ჯერ კონფიდენციალურად ისაუბრეს. მაგრამ კომენტარზე უარსაღივსებს უარი უთხრეს.

გუშინ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ქალბატონი სანდრა რულოვსი და ქალბატონი ეთერ ასტეშიროვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვედნენ. შეხვედრამდე მათ ჯერ კონფიდენციალურად ისაუბრეს, მაგრამ კომენტარზე უარსაღივსებენ უარი უთხრეს; უარსაღივსებენ არც არასამთავრობო წევრებს დასაწყისს.

დერეფანში მოჭარბებული მოქალაქეები აცხადებდნენ, რომ მათ ამ შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ, თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ, საიმოვნებით გამოიყენებდნენ შემთხვევას და ქალბატონ რულოვს დახმარებას სთხოვდნენ. უმეტესობის სათხოვარი ბავშვების საზოგადოებრივ დასვენება იყო, ზოგიერთისთვის - სამკურნალო და ზოგიერთისთვის - პრევენციული.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტეშიროვას სახელზე დახვნილი მოქალაქეთა ორი განცხადება და ერთი მოთხოვნითი ბარათი იუნჯობა, რომ დევნილებზე ნადირობაა გამოცხადებული, მაგრამ კონკრეტულად, ვინ რა ნადავლს ელის, უცნობია.

"2004 წლის 26 ივნისს, დღის 15 საათზე სასტუმრო "მცხეთაში" შევიდა ვილჯ უცნობი ქალი, რომელმაც თავი ნინო გოცირიძე, ქალბატონ სანდრა რულოვსის და ქალბატონ ეთერ ასტეშიროვას წარუხვინა და წარადგინა. მან დევნილებს მოსთხოვა პირადობის მოწმობები, შეადგინა სია და თან შეადგინა საინიციატივო ჯგუფი... დევნილებს 28 ივნისისთვის სანდრა რულოვსთან ერთად პროდუქტების, ნაძლების და ექსკოპიის დანადგარის შემოტანას დაპირდა", - იუნჯება მცხეთის რაიონის დევნილთა სამსახურის უფროსის ნათელა თათარაშვილის მოხსენებითი ბარათი.

"მოგახსენებთ, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში სასტუმროში უცხო პირები მოდიან, რომლებიც ითხოვენ სასტუმროში მცხოვრებთა სიას, გვეუბნებიან, რომ არიან შინაგან საქმეთა სამინისტროდან და თავიანთ პირადობის მოწმობას არ წარმოადგენენ. გთხოვთ, მოახდინოთ რეაგირება იმ ქმედებებზე, რაც ჩვენთან ხდება", - წერს გლდანის რაიონის სასტუმროში "მეგობრობის" ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე ციცილო გუზანი.

ხოლო სამინისტროში 2 ივლისს რეგისტრირებული განცხადებაში უფრო კრიმინალური შემთხვევა აღწერილი. იმ დროს, როცა დედა სახლში არ იყო, "კოსტუმიან-ემბლეშიანი" კაცი მოსულა, უთქვამს, რომ ქალბატონ ასტეშიროვას განკარგულებითი სახურავის ამონაგვები. "რადგან ასლები არ გვექონდა, უცროსი ბიჭი ნაუყვანია და ახმეტის უცროსთან გაუყოფილა ასლები, სახურავი კი უკან გამოუტანა. სამუხაზროდ, ნამძინარევი ბავშვები დაბნეულან და, თან შეშინებიათ, როცა ნახეს რეგულერი ეკეთა და არც ეახლო უკითხავთ და არც გველო. გთხოვთ, გამარჯვებით, რამ გამოიწვია ეს შემთხვევა. როგორც გავიგე, ჩვენთან მცხოვრებ სხვა დევნილებთან არ მისულან", - სთხოვს მინისტრს აფხაზეთიდან დევნილი ლილია ფიფია.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტეშიროვა ვერ ასახელებს, ვინ არიან "კეთილისმოყვრულები", მაგრამ მათ საქართველოს მთავრობის მიზანმიმართულ დისკრედიტაციამ დაანაშაულებს და დევნილებს მოუწოდებს, რომ არ აპყვენ ათასი ჯუღის თაღლითებს, რომლებიც, პირველი ლედისა და მინისტრის სახელით, მათ დახმარების მისაღებად სამინისტროში დაპატივებენ. როგორც მინისტრმა აღნიშნა, მსგავსი მოწოდებების გამო, თავად არაერთხელ "ჩავარდნილა უხერხულ მდგომარეობაში".

გუშინდელი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ქალბატონი რულოვსის ინიციატივით მოეწყო. ორგანიზაციებმა მას თავიანთ საქმიანობაზე და დენილი პრობლემებზე მოუთხრეს. ქალბატონი რულოვსი და არასამთავრობო ორგანიზაციები სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ელენ კუმრაგა

### საქტამბარში საქართველო ბრანდების მისაღებად იბრძობებს

საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესმენებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ეძლევა, მათ მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე, აშშ-ს მთავრობის ათასწლეული მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება მიიღოს.

პროგრამა აშშ-ს მთავრობის მიერ ფინანსდება და, საქართველოს გარდა, მსოფლიოს 15 განვითარებადი ქვეყნისთვის არის განსაზღვრული. მიმდინარე წლის სექტემბერში, გაშინდებულ დადგენილ კონკურსში გამარჯვებული პროექტები პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებას მიიღებენ. მიმდინარე წელს აშშ-ს მთავრობამ ამ პროგრამისათვის 1,2 მილიარდ აშშ დოლარს გამოყოფს. როგორც პრაიმ-ნიუსს ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამის საქართველოს კომიტეტის აცხადებს, ამ დროისათვის კომიტეტში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა 13 პროექტი წარადგინეს, რომელთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობის, განვითარების ორგანიზაციების განვითარებას ითვალისწინებს. კომიტეტი აშშ-ში წარსადგენ პროექტებს 10 ივლისამდე მიიღებს. პროგრამის საქართველოს კომიტეტის საქმიანობას უშუალოდ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია კურთმევს. მისი წევრები არიან სახელმწიფო მოხელეები, ბიზნესმენები, პარლამენტარები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

პრაიმ-ნიუსი

### აზარბაიჯანელები სხანსაშენის კუთვნილ მონა ითხოვენ

მარნეულის რაიონის სოფელ კუტლიარის მაცხოვრებლებს გუშინ დიდიდან მარნეული-ნითლი ხიდის ცენტრალური მაგისტრალი ჰქონდათ გადაკეტილი. ისინი ყულარის ცხენსაშენის კუთვნილი მიწის ხალხისთვის დანაწილებას ითხოვდნენ.

ყულარის ცხენსაშენი ამიერკავკასიაში ერთადერთია და იქ გამოზრდილ ცხენებზე დიდი მოთხოვნილება არსებობს. ცხენსაშენი შპს "ყოკეი-კლუბს" ეკუთვნის. ორი საინტერესო დეტალი: ყულარიდან იყო ის ძვირადღირებული ბედაური, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა სტუმრად ჩამოსულ ილჰამ ალიევს აჩუქა. რამდენიმე დღის წინ მოსკოვში გამართულ სამრეწველო დოღზეც საქართველომ ყულარის ერთ-ერთი ცხენი ჩაიყვანა.

დღეისათვის ცხენსაშენს 1155 ჰექტარი მიწა აქვს სარგებლობაში. როგორც მისი მესვეურები აცხადებენ, სუფთა სისხლის ცხენებისათვის დიდი რაოდენობით საძოვარი მიწა უცვლელბოდა. ეს არგუმენტი ცხენსაშენის ახლოს მდებარე აზერბაიჯანული სოფლების მოსახლეობისათვის არაფერს ნიშნავს. ისინი უკვე ნახევარი წელი ახალ ხელისუფლებას ცხენსაშენისთვის 750 ჰექტარი მიწის ჩამორთმევას სთხოვენ. ამ წინასწინილზე კუტლიარელებმა არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს სახელმწიფო კანცელარიის წინ და დაპირებაც მიიღეს, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებოდა.

როგორც ირკვევა, ხელისუფლებამ დაპირება ნაწილობრივ შეასრულა და, ცხენსაშენის მეპატრონეებთან შეთანხმებით, 300-მდე ჰექტარის აზერბაიჯანული მოსახლეობისთვის გადაეცემა გადაწყვიტა. სწორედ ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს გუშინ კუტლიარელებმა - მათ მიწის რაოდენობა ეცოტავათ.

მოპიკეტებთან შესახვედრად მარნეულში ჩავიდა პრეზიდენტის რწმუნებულთა ქვემო ქართლში სოსო მანუჩიშვილი, რომელსაც პრესისთვის აცხადებდა გუშინ არ გაუქმებია. გზის გასხნა რამდენიმე საათიანი მოლაპარაკების შემდეგ მოხერხდა, თუმცა აზერბაიჯანული მოსახლეობა, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მსგავსი აქციების მოწყობას კვლავაც აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, რა გზით მოახერხებს მათ დანაწილებას ადგილობრივი ხელისუფლებამ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ყულარის ცხენსაშენისათვის 800-მდე ჰექტარი მიწის ჩამორთმევა, ფაქტობრივად, მის განადგურებას ნიშნავს.

მაია მოსიაშვილი

### ორი ტიპი

თბილისი. თბილისში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა ევროკავშირის კომისარი იანოშ პოტოშნიკი. პოტოშნიკი ევროკავშირის გაფართოების საკითხებსა და "მეზობლობის ევროპულ ინიციატივაზე" პასუხისმგებელი. თბილისში იგი საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს შეხვდება. მხარეები ორმხრივი თანამშრომლობის პრობლემებს განიხილავენ. მედია-ნიუსი

თბილისი. 7-9 ივლისს ბათუმში გაიმართება დღეს-ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს რიგით 51-ე სხდომა. სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, მოლდოვის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის სასაზღვრო უწყებათა დელეგაციები, პირველი პირების ხელმძღვანელობით. შეხვედრებზე განიხილება სარდალთა საბჭოს წინადადებები სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ, ასევე თანამეგობრობის ქვეყნების საზღვრებზე ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადაადგილების აღკვეთის ღონისძიებების საკითხები. მედია-ნიუსი

თბილისი. ლიბორისტული პარტია გაერო-ს წამების საინააღმდეგო კომიტეტის სახელზე სპეციალურ მიმართვებს ამაზდებს, რომელშიც საქართველოში პატიმართა წამების ფაქტებზე იქნება საუბარი. როგორც შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, საქართველოში კვლავ ხშირია პატიმართა წამების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის ელექტროშოკის გამოყენება. წამების ფაქტების დასტურად "ლიბორისტები" კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხანა მოლაშვილს ასახელებენ, რომელიც, ნათელაშვილის თქმით, ციხეში სივარდით აწამებს. "ლიბორისტული პარტია" სულხან მოლაშვილს პოლიტიკურ პატიმარს უწოდებს და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. ინტერ-პრესი

მოსკოვი. მოსკოვის მერის იური ლუჭკოვის პრესმდივნის განცხადებით, მოსკოვის მთავრობა პროექტებს ახორციელებს როგორც რუსეთის ფედერაციისთვის, ისე მის ფარგლებს გარეთ და ამ პროცესში მკაცრად არის დატოვებული რუსეთის კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლის ნორმები. "მოსკოვი ასეთი გარემოების უფლებას რუსეთის კონსტიტუცია აძლევს, საერთაშორისო სამართალი კი ერთნაირად მოქმედებს როგორც აფხაზეთის, ისე აჭარის შემთხვევაში", - აცხადებს ლუჭკოვის პრესმდივანი. ამასთან, მოსკოვის მერიამ უარყოფენ ლუჭკოვის მიერ აფხაზეთში სანატორიუმ "მოსკოვის" შესუფიცის ფაქტს. მედია-ნიუსი

ახალციხე. გუშინ ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში მცხოვრებმა ოსი ეროვნების მოსახლეობამ საქართველოს პრეზიდენტის მხარდასაჭერი აქცია გამართა. 100-მდე ოსმა თვითგამოცხადებულ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოზიცია ხმამაღლა დაგმო და სააკაშვილს პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრისა და საქართველოს ერთიანობის



### საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარმა (სესბ-მა) ელექტროენერჯის გამოშვებებისა და მოხმარების ივლისის თვის საპროგნოზო ლიმიტები დაამტკიცა.

ივლისის თვეში ქვეყნის ენერჯოსისტემა მთლიანად ემყარება ჩვენი ჰესების მიერ გამოშვებულ ელექტროენერჯიას. ენერჯოსისტემა მუშა მდგომარეობაში მხოლოდ სამი აგრეგატი, საერთო სიმძლავრით - 620 მეგავატი. ბაზრის პროგნოზით, ივლისის თვეში საშუალო დღე-ღამური გასაყიდი ელექტროენერჯია, ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით, 19,2 მილიონი კილოვატსაათი იქნება, საიდანაც თბილისისთვის დღე-ღამეში დაგეგმილია 4.3 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯის მიწოდება, მაქსიმუმზე 250 მეგავატი სიმძლავრით; აჭარის ენერჯოკომპანიისათვის - 1,18 მილიონი კილოვატსაათის მიწოდება, მაქსიმუმზე 60 მეგავატი სიმძლავრით; კახეთის ენერჯოსისტრატეგისათვის - 0,41 მილიონი კილოვატსაათის მიწოდება, მაქსიმუმზე 35 მეგავატი სიმძლავრით; გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიისათვის კი 4,535 მილიონი კილოვატსაათის მიწოდება, მაქსიმუმზე 245 მეგავატი სიმძლავრით.

მარეგულირებელ სადგურებზე წყლის რაციონალური ხარჯვისთვის კვლავაც აქტუალურია პრობლემა - ენერჯოკომპანიებმა და მომხმარებლებმა დადგინული გრაფიკები უმკაცრესად უნდა დაცვან.

24 საათი

## მთავრობა აჭარაში ტურისტული ობიექტების პრივატიზაციაზე იწყებს

### ბათუმის პორტი და აეროპორტი ჯერ არ გაიყიდება

აჭარის ტურისტული ობიექტები ინვესტირების მოლოდინშია. გუმინ, ბათუმში სასტუმრო "ინტურისტის" წინ აჭარის საპრივატიზაციო ტურისტული ობიექტების პრეზენტაცია პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გახსნა. როგორც ცნობილია, პრივატიზაცია აუქციონის წესით ჩატარდება, ხოლო ობიექტების გაყიდვის დროს უპირატესობა იმ ბიზნესმენს მიენიჭება, ვინც ყველაზე მეტს გადაიხდის.

### ლინა ჩაჩა

"როდესაც ვუბნებით ადამიანებს, იყიდონ ჩვენი უნიკალური ტურისტული ობიექტები, ეს ცალკე აღებული განცხადება არ არის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა იმ ხელისუფლებულ პირს, რომელსაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ინვესტირების საფუძვლიანი და წყალმომარაგების სისტემის განვითარება უზრუნველყოს. სახელმწიფო იზრუნებს საგანგებო წესით დევნილების განსახლებაზე, რომ მათაც ჰქონდეთ ღირსეული პირობები და მათ მიერ დაკავებული სასტუმროები რეკონსტრუქციის ექვემდებარებოდეს. როდესაც კონკრეტული ობიექტების გაყიდვაზე ვსაუბრობთ, ჩვენ მას, როგორც ცალკე შენობას კი არ ვყიდით, ჩვენ ვყიდით მთელს ჩვენს პოლიტიკას - საქართველოში ტურიზმის ხელშეწყობის ძალიან აქტიურ, გეგმაზომიერ და ენერჯულ პოლიტიკას. ყველა, ვინც ამ ობიექტების ყიდვაზე იფიქრებს, უნდა იცოდეს, რომ ის იმ ბიზნესში შევა, რომელიც ჩვენი მთავრობისათვის ერთ-ერთი უმთავრესი

პრიორიტეტი იქნება," - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ ბათუმში გამართულ, საპრივატიზაციო ტურისტული ობიექტების პრეზენტაციაზე. აჭარის საპრივატიზაციო ტურისტული ობიექტების პრეზენტაციას 50-მდე ქართველი და უცხოელი დაინტერესებული ბიზნესმენი, მსხვილი ბანკირები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და ტურისტული ინფრასტრუქტურის წარმომადგენელი ინვესტირების სააგენტოები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე მონაწილე სტუმრებს ზურაბ ჟვანიამ რეგიონში გასაყიდად გამოტანილი სასტუმროების ნუსხა წარუდგინა, რომელთა შორის ბათუმის "ინტურისტის", "თანამგზავრი", ჩაქვის "თახისი", "ივერია", ქობულეთის "მესხეთი" და "კოლხეთი" მოხვდნენ. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, ხელისუფლება სხვა ობიექტების გაყიდვასაც აპირებს, თუმცა ვითარებას დევნილების განსახლების პრობლემა ართულებს. მისივე განცხადებით, აჭარაში არსებული საკურორტო ობიექტების პრივატიზაციაზე დაინტერესებულნი არიან არა მარტო ქართველი, არამედ თურქი, რუსი, აზერბაიჯანელი, ებრაელი და ამერიკელი ბიზნესმენებიც. "გასაყიდი ობიექტების სახეობა ფასი მაღალი იქნება, ხოლო ობი-

ექტს მიყვებით იმას, ვინც ყველაზე მეტს თანხას გადაიხდის," - დაამატა მან.

ჟვანიას განცხადებით, დაინტერესებულ ბიზნესმენებს სასურველი ობიექტის შესყიდვისას პრობლემები არ შეექმნება, ამის გარანტიად კი მთავრობის მიერ ადგილობრივი ხელისუფლებასთან მოგვარებულ იურდიულ ურთიერთობებს და პრეზენტაციაზე წარდგენილი საკურორტო კომპლექსების ერთპიროვნულ სახელმწიფო კონტროლს ასახელებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პრეზენტაციაზე უკვე გამოამკარავდა ერთ-ერთი დაინტერესებული ბიზნესმენის ვინაობა - ქართველმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა არ დამალა საკუთარი დაინტერესება გარკვეული გასაყიდი ობიექტების მიმართ. მას კონკრეტული ობიექტები არ დაუსახელებია. მისი თქმით, ამით მას შესაძლოა კონკურენტები გამოუჩნდნენ. ბოლოს კი ნიშნის მოგებით განაცხადა, რომ იყიდის იმაზე ერთი ობიექტი მეტს, ვიდრე "გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის" პატრონი.

ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებით, აჭარაში ყველა ობიექტი გაიყიდება, მათ შორის სახელმწიფო 100-პროცენტითი საკუთრებაც. ამასთან, ახალ მუშაპროექტებს სახელმწიფო, თავის მხრივ, შეძენილი ობიექტების რეაბილიტაციას მოსთხოვს.

გუმინ, საქართველოს მთავრობის წევრებმა ბათუმში ისე დატოვეს, რომ საპრივატიზაციო ნუსხაში შემავალი ობიექტების საგარეულო თუ საბოლოო მუშაპროექტები არ დასახე-

ლებულა. გასაყიდი საკურორტო კომპლექსების აუქციონი 2 კვირაში გამართება.

გუმინზე ბათუმში ერთი საგულისხმო ინფრასტრუქტურა გაერცვლდა - ბათუმის "ინტურისტის" საგარეულო ფასად 2,5 მილიონი დოლარი დასახეულა. თუმცა, გუმინზე საკართველოს ეკონომიკის სამინისტროში ეს ინფორმაცია უარყვეს და აღნიშნეს, რომ გასაყიდი ობიექტების თავდაპირველ ნომინალურ ფასი 2,5 მილიონ დოლარზე ნაკლები იქნება.

ცნობილია, რომ ტურისტული ობიექტები სახელმწიფოს მიერ დაინტერესებულ ბიზნესმენის პროცესის მხოლოდ პირველი რაუნდია.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე გასაყიდი ობიექტებს შორის ბათუმის პორტს და აეროპორტს ხშირად აღნიშნავდა. მაგრამ, როგორც გუმინ ბათუმში გაირკვა, ეს ობიექტები "ჯერჯერობით" არ იყიდება. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას განცხადებით, აღნიშნული ობიექტებზე ხელისუფლები პარიერები არსებობს, მათ შორის, ხელისუფლება შექმნილი დავალიანებები, რომლებიც პრივატიზებამდე უნდა აღმოიფხვრას. "პორტზე და აეროპორტზე დამატებითი მუშაობა საჭიროა. ეს ძალიან რთული ობიექტებია. ვიდრე ამ ობიექტების იურიდიულად და ფინანსურად განმუხტავთ არ მოხდება, მანდ იგი არ გაიყიდება. მიყვებით უნდა იცოდეს, რომ მას დამატებითი თავსატეხები არ ექნება. ობიექტების გასუფთავების შემდეგ ჩვენ მათ ძვირად გაიყიდება შეგუდით," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## საუდის არაბეთმა ტარორიზმთან ბრძოლა უნდა გააძლიეროს

თორნიკა მარაშენიძე

"საუდის არაბეთმა აუცილებლად უნდა გააძლიეროს თავისი კანონები, რათა ამ ქვეყანაში ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება შემცირდეს," - ასეთი განცხადება გააკეთა საერთაშორისო ორგანიზაცია "ფაინანსული ქვეყნების ფორსმა," რომელიც ფულის "რეცესის" პრობლემებითაა დაკავებული. ორგანიზაციამ ასევე მოუწოდა საუდის არაბეთს, აქტიურად ითანამშრომლოს საერთაშორისო ინსტიტუტებთან, რათა უფრო ეფექტური გახადოს ტერორიზმთან ომი.

როგორც "ფაინანსული ქვეყნების ფორსმა" აცხადებს, მთლიანობაში საუდის არაბეთის კანონმდებლობა საერთაშორისო ნორმებს აკმაყოფილებს. მაგრამ რამდენიმე ფაქტორი მაინც ართულებს საქმეს. მაგალითად, არსებული კანონმდებლობით, ტერორისტთა დაფინანსებად მიჩნეულია მხოლოდ უკანონო წყაროებიდან მიღებული ფული. ანუ, ეს ნიშნავს, რომ მაღალ დონეზე განხორციელებულ ფულის გათავისუფლებას ოპერაციებზე საუდის არაბეთში შესაბამისი რეაგირება არ კეთდება.

გარდა ამისა, საქმეს ის გარემოებაც ართულებს, რომ ყველანაირი საექვე საექვე ტრანსაქციების შესახებ კანონის მოთხოვნით აუცილებლად უნდა გადაეცეს საუდის არაბეთის საგადასახადო ქვეყნის ერთ-ერთ ცენტრალურ ორგანოს, რომელიც ამ საქმეებზე ექსპლუზიურ უფლებებს ფლობს. ანუ, საუდის არაბეთის დამოუკიდებელი გამოძიებლებსა თუ უცხოელ სპეციალისტებს, უბრალოდ, არ გააჩნიათ საშუალება, საქმეების შესწავლაში ჩაერთონ.

"ფაინანსული ქვეყნების ფორსმა" დადებით მოვლენად მიაჩნია ის გარემოება, რომ საუდის არაბეთის ხე-

ლისუფლებამ რამდენიმე ტრანსაქცია დასრულა, რომლებიც საქველმოქმედო ორგანიზაციათა სახელით კეთდებოდა. ასეთ ორგანიზაციათა სახელით ახლო წარსულში დიდი რაოდენობით ფული ირეცხებოდა, რაც დასავლეთის სერიოზულ შემოღობვას იწვევდა და 11 სექტემბრის შემდეგ საუდის არაბეთის მთავრობაზე ამ მხრივ სერიოზული დანაშაულები ხორციელდებოდა.

"ფაინანსული ქვეყნების ფორსმა," თავისი "შავი სიიდან" ამოიღო გვატემალა. ამ ქვეყანამ ბოლო ხანებში რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი მიიღო, რომლებიც ოფშორულ ზონებში განხორციელებულ ოპერაციებზე მკაცრ კონტროლს აწესებს.

"ფაინანსული ქვეყნების ფორსმა," თავისი "შავი სიიდან" კვლავაც რჩებიან ნიგერია, ფილიპინები, ინდონეზია, ბირმა, ნაურუ და უკრაინის კუნძულები. თუმცა, ამ ქვეყნებზე უფრო მეტი ყურადღება მსოფლიო საზოგადოებას, ალბათ, ისევ საუდის არაბეთს უნდა დაუთმოს. საყოველთაო აზრით, იგივე აღკვეთა სწორედ ამ ქვეყანაში განხორციელებული ტრანსაქციებით ფინანსდება. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანს აქ აღკვეთის მიერ ტერაქტები განხორციელდა, რაც იმის მაჩვენებელია უნდა მივიჩნიოთ, რომ ტერორისტები საუდის არაბეთში თავს ისე კომფორტულად ვეღარ გრძობენ. სამაგიეროდ, მათ მიერ განხორციელებული ტერაქტები სერიოზულ პანიკას იწვევს საზოგადოებასა და დიდი პრობლემების წიდასუ აყენებს დასავლეთს. ასე რომ, აქ ერთგვარი დილემა არსებობს: საუდის არაბეთის მიერ ტერორიზმთან ბრძოლის გამკაცრება ტერაქტებსა და ნაყოფის ფასების ავარდნას გარმიწვევს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ტერაქტები, ალბათ, სწორედ მაშინ არ განხორციელდება, თუკი ეს ქვეყანა ტერორიზმთან ბრძოლას არ გააძლიერებს.

### ლინა ჩაჩა

აღნიშნული ორი კომპანიის გაერთიანების პრობლემის თანახმად, ორივე მხარე აქციების თანაბარი რაოდენობა უნდა მიიღოს. ამასთან, გაერთიანების შემთხვევაში "ძალისმიერი მანქანების" 100 პროცენტი ბენდუქიძის კომპანიაში გადავა. კომპანიების გაერთიანება შემოდგომისთვის, ხოლო აქციების გაცემა - ივლისის ბოლოს იგეგმებოდა. მაგრამ 30 ივნისს "გემქ"-ს აქციონერების ნაწილი კრება ჩაიშალა, ამის

## ბენდუქიძე თავი დაიხლებია

ასეთი სათაურით აქვეყნებს "ვედომოსტი" სტატიას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, რუსეთის "გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნის" (გემქ) დამფუძნებელი კახა ბენდუქიძე 24 აგვისტოს კომპანიის რიგგარეშე აქციონერების სხდომის ჩაბარების ინიციატივით გამოვიდა. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ იმ დროისთვის უკვე გაირკვევა, გაერთიანდება თუ არა "გემქ" კომპანია "ძალისმიერი მანქანათმშენებელი ქარხნის" (გემქ) და მფლობელი კახა ბენდუქიძე 24 აგვისტოს კომპანიის რიგგარეშე აქციონერების სხდომის ჩაბარების ინიციატივით გამოვიდა. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ იმ დროისთვის უკვე გაირკვევა, გაერთიანდება თუ არა "გემქ" კომპანია "ძალისმიერი მანქანათმშენებელი ქარხნის" (გემქ) და მფლობელი კახა ბენდუქიძის ინტერესების წარმომადგენელი სტრუქტურების არგამოხადება გადას. კომპანია "ინტეროსსაში", რომელიც "ძალისმიერი მანქანების" აქციების 70 პროცენტის მფლობელია, განაცხადებს, რომ ისინი ამ ფაქტს ხსნიან როგორც "გემქ"-ს მფლობელების ინტერესების დაცვას მათ კომპანიასთან გაერთიანებაში და განაცხადებს, რომ გაერთიანებაზე მათ შესაძლოა უარი თქვან.

როგორც აღმოჩნდა, ბენდუქიძემ შეთანხმების შესაძლო ჩაშლისგან ნინასწარ დაიხლებია თავი. ჯერ კიდევ

29 ივნისს "გემქ"-ს დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, 24 აგვისტოს რიგგარეშე აქციონერთა კრება მოეწვია.

როგორც კომპანიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, ეს გადაწყვეტილება კახა ბენდუქიძის მოთხოვნით იქნა მიღებული. ანდრეი ონუფრევი, "გემქ"-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, კრების მოწვევას დირექტორთა საბჭოში კორექტივების შეტანის აუცილებლობით ხსნის, რომლის მიზანი მასში კახა ბენდუქიძის წარმომადგენლების ჩართვაა.

"გემქ"-ს დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი აცხადებს, რომ კომპანიის აქციონერების ჩაშლილ წლიურ კრებაზე "ინტეროსსას" წარმომადგენლებს შეეძლოთ გაერთიანებული კომპანიის დირექტორთა საბჭოში უმრავლესობა მოპოვებინათ, ამიტომ ბენდუქიძის წარმომადგენლებს, გააჩნდათ რა ინფორმაცია ამის

შესახებ, შეემინდათ მისთვის კომპანიაზე სრული კონტროლი მიეცათ და, ამიტომაც, "გემქ"-ს აქციონერთა კრებაში მონაწილეობა არ მიიღეს. "ვედომოსტიმ" "ინტეროსსაში" კომენტარი ვერ მიიღო. თუმცა "ძალისმიერი მანქანების" წარმომადგენლის მხრიდან გაირკვა, რომ მათთვის "გემქ"-ს რიგგარეშე აქციონერთა კრებაზე მხოლოდ ორი ივლისის გახდა ცნობილი. იგი ეჭვობს, რომ ეს ფაქტი "გემქ"-სთან გაერთიანების საკითხზე უარყოფითი გავლენას მოახდენს.

ბანკი "ზენიტის" ანალიტიკური სამსახურის უფროსი სერგეი სუვეროვი საუბრობს იმაზე, რომ თუ ორი კომპანიის შორის შეთანხმება მიღწეული ვერ იქნება, მაშინ აგვისტოში ბენდუქიძე, რომელიც კომპანიის აქციების 25,93 პროცენტის მფლობელია, კომპანიაზე კონტროლის უფლების დაბრუნებას შეძლებს.

## "საქართველოს ბანკმა" VISA-სთან ერთად ათენის ოლიმპიადის საგზურის მფლობელი გამოავლინა

საქართველოს ბანკმა და ელექტრონული გადახდის საერთაშორისო სისტემა VISA International-მა ფართომასშტაბიანი მარკეტინგული აქციის "გადახდა VISA ბარათებით და მიიღე საგზური ათენის ოლიმპიადისთვის" შედეგები შეაჯამეს. აქცია 2004 წლის 19 აპრილიდან ამავე წლის 19 ივნისამდე გრძელდებოდა.

აქციის შედეგების შეჯამების შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ნიკოლოზ ნიორაძე, ქიშიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც სახუქრად გადაეცა მთავარი პრიზი 2 კაციანი საგზური ათენის ოლიმპიურ თამაშებზე.



"აქციის მსვლელობისას მივლინებით ამერიკაში ვიყავი და იქ ვიყენებდი "საქართველოს ბანკის" VISA პლასტიკურ ბარათს. გათამაშების შესახებ ჩემმა დამ შემატყობინა. მინდა ვთქვა, რომ "საქართველოს ბანკის" VISA ბარათით უპრობლემოდ ვსარგებლობდი შორეულ ამერიკაში და აქ ჩამოსულს სახამაშოვნო სიურპრიზი დამხვდა "საქართველოს ბანკისა" და VISA International-ის წყალობით ჩემს დასთან ერთად ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მივემგზავრები" ამბობს აქციის გამარჯვებული ნიკოლოზ ნიორაძე.

დსთ-ს ქვეყნებში VISA-ს რეგიონალურმა მენეჯერმა სვეტლანა გეორგელიძემ თავის მისახალმებელ სიტყვაში აღნიშნა: "ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ "საქართველოს ბანკმა" გამოიჩინა ინიციატივა და მონაწილეობა მიიღო VISA ბარათების წამახალისებელ აქციაში. VISA International-ი უკვე 18 წელია ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ხელშეწყობის სტატუსით სარგებლობს და ჩვენ ვამაყობთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ჩვენი მრავალწლიანი შეთანხმებით VISA International-ის წევრ ბანკებს აქვთ საშუალება მათი ბარათების მფლობელებს უნიკალური პროგრამები შესთავაზონ და საბარათო ბაზარზე გააუზღოვებონ თავიანთი მანქანებლები. დსთ-ს ყველა ქვეყანაში აღნიშნული მარკეტინგული აქციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 118 ბანკმა, რაც თავისთავად დიდ წარმატებას ნიშნავს."

აქციის მიზანი იყო წახალისებინა მომხმარებლები და პოპულარიზაცია გაეწია საერთაშორისო პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებისათვის სულ უფრო მეტ სავაჭრო და მომსახურების ობიექტზე. ასევე ხელი შეეწყო VISA ბარათების რაოდენობის ზრდისთვის.

აქცია წარმართა შემდეგი პრინციპით: "საქართველოს ბანკის" VISA ბარათის ყველა მფლობელს აქციის მიმდინარეობისას საქართველოში ან საზღვარგარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებზე კუთხილი ბარათით ჩატარებულ თითოეულ ოპერაციაზე ერთიჯერ და ერთი ბონუს ქულა. გამარჯვებულად გამოცხადდა ბარათის ის მფლობელი, ვისაც ყველაზე მეტი ბონუს ქულა აქონდა დაგროვილი.

მთავარი პრიზი 2 კაციანი საგზური ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დააწესა VISA International-მა.

"ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ დაფიქსირებული შედეგებით, რომელმაც გვაჩვენა, რომ აღნიშნულმა მარკეტინგულმა აქციამ თავისი მიზანი შეასრულა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ პლასტიკური ბარათებით უნაღლო ანგარიშსწორების პრაქტიკა დღითიდღე კიდევ უფრო პოპულარული ხდება, რასაც ადასტურებს კიდევ ბარათებზე დაფიქსირებული ბრუნვა", - განაცხადა "საქართველოს ბანკის" პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის დირექტორმა დათო ბუკიაშვილმა.

"საქართველოს ბანკის" VISA პლასტიკური ბარათებით სავაჭრო ობიექტებზე ჩატარებული ოპერაციების ანალიზმა აჩვენა, რომ ეს მანქანებელი 10,3%-ით, ხოლო კლიენტების რაოდენობა 50,53%-ით გაიზარდა.

აქციის მსვლელობის დროს გაცემულ იქნა 5207 "საქართველოს ბანკის" VISA პლასტიკური ბარათი.

### მაშუკა კახიაშვილი

"საქართველოს ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

# ინდონეზიის საპრეზიდენტო არჩევნების საპრადომო შედეგები მართლდება

ინდონეზიაში 5 ივლისს, პირდაპირი არჩევნების გზით, პირველ პრეზიდენტს ირჩევდნენ. არჩევნებმა, 1988 წელს სუჰარტოს რეჟიმის დასრულებიდან, 6-წლიანი პოლიტიკური ქაოსის, ეკონომიკური კრიზისისა და ტერორისტული აქტების შემდეგ, ისლამური ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი.

უკვე ცნობილია არჩევნების წინასწარი შედეგები, არჩევნების დღეს ყველა დანარჩენ კანდიდატს გადამდგარი გენერალი სუსილო ბამბანდ იუდპოიონო 20 პროცენტით უსწრებდა. მას მოსდევს ინდონეზიის ამჟამინდელი პრეზიდენტი მეგავატი სუკარნოპუტრი და ხმათა კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობით, შეიარაღებული ძალების ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი ვირანტო. ჯერჯერობით, უცნობია, რა რაოდენობის ხმები აქვს მოპოვებული მუსლიმთა ზომიერ ლიდერს ამიენ რაისს. რაც შეეხება მეხუთე კანდიდატს, ამჟამინდელ ვიცე-პრეზიდენტ ჰამბა ჰაზს, მას



REUTERS

ჯერ კიდევ არჩევნებამდე უწინასწარმეტყველებდნენ, რომ გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდა.

ინდონეზიის საარჩევნო კომისიის განცხადებით, შედეგები 10 დღეში იქნება დაზუსტებული, მაშინ, როცა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები გაცილებენ ადრეულ ვადებს ვარაუდობენ.

ინდონეზიელთა არჩევნების შემდეგ ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარება სურთ.

# აშშ რუსეთს სარაკეტო გამოცდის რეზიუმეს უნდა უპასუხო

რუსეთის სამხედრო უწყების თანახმად, აშშ ივლისში, კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის სასწავლო-სამხედრო გაშვებას გეგმავს. ამ მიზნით პენტაგონი კალიფორნიის შტატში დასავლეთის სარაკეტო პოლიგონის "ვანდერბერგის" მინისქვეშ გამშვები მოწყობლობის გამოყენებას აპირებს. სასწავლო ოპერაციისთვის წყნარი

ოკეანის აკვატორიის, კვაჯალენინის რაიონს გამოიყენებენ. კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის რადიუსი, სავარაუდოდ, 8 000 კმ-ია. ვანდერბერგის ბაზაზე დისლოცირებულია 13 სასწავლო-სამხედრო მინისქვეშ გამშვები მოწყობლობა შემდეგი ტიპის კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებისთვის: "MX", "Minuteman-2", "Minu-

teman-3". 1988 წლის 31 მაისს საბჭოთა კავშირსა (რომლის შემკვიდრე სახელმწიფო დღეს რუსეთია) და ამერიკას შორის "ბალისტიკური რაკეტების გაშვების შესახებ დადებული ხელშეკრულების" თანახმად, ერთი მხარის მიერ ოპერაციის ჩატარების შესახებ ინფორმაცია მეორე მხარეს გაშვებამდე არა უგვიანეს 72 საათით ადრე უნდა მიწოდდეს.

მსოფლიო პრობლემების კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, აშშ-ს ბირთვული შეარაღების ძალებს "MX" ტიპის კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გამშვები 25 მოწყობილობა აქვთ, მათგან 23 - აშშ-ს სამხედრო შეიარაღებული ძალების "უორენის" ბაზაზეა განთავსებული.

# იუკოსის ბაჰამების ფილიალის ფორმირება

დასავლეთის კრედიტორებმა რუსულ სახანოთო კომპანიას "იუკოსს" 1 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის დეფოლტის შეტყობინება გაუგზავნეს. რიგი რუსი ანალიტიკოსების აზრით, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ კრედიტის გეგმა, კომპანიის დაპყრობისა და მისი მესაკუთრის შეცვლასთან დაკავშირებით, ძალიან მალე განხორციელდება. ეკონომიკის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელის ევგენი იასინის განცხადებით, "თუ "სკ იუკოსს" მესაკუთრე აქამდე არ შეიცვალა, სულ მალე აუცილებლად შეიცვლება. მთავრობის ბოლოდროინდელი ქმედებები, როგორც იყო იუკოსის ყოფილი მფლობელების მიმართ ბრალდებების წაყენება, დიდი პოპულარობის მიმართეა კომპანიის აქტივების დაბაჰტირების მიზნით და გერმანიის დანიშნულ, მეტყველებს იმაზე, რომ საქმე მესაკუთრის ჩამორთმევისაკენ მიდის და მოვლენათა მთელი სიმძიმეც ამაშია."



"იუკოს"-ს ოფისში სამართალდამცველები ორი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

დე ფოლტის გამოცხადების შემდეგ განცხადებები კომპანიის წარმომადგენლებზეც გააკეთეს. "რუსეთის ფედერაციის მთავრობის წარმომადგენელთა ქმედებებმა საუკეთესო და ყველაზე კრედიტუნარიანი რუსული კომპანია გაუმიზნა და ხელშეწყობა გადახდის უზარაობამდე აღ, სავარაუდოდ, გაკოტრებამდეც კი მიიყვანა, - განაცხადა იუკოსის ფინანსურმა დირექტორმა ბრიუს მიხაილოვმა, - ეს ყველაფერი კი ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საუკეთესო შედეგებს უჩვენებს". საბანკო შეტყობინებამ ნათქვამია, რომ დეფოლტის გამოცხადებით აგენტს შეუძლია, კრედიტის მთლიანი თანხის დაუყოვნებლივ დასრულად დაფარვა ნებისმიერ დროს მოითხოვოს.

მოცემულ ეტაპზე, "სკ იუკოსი" საკუთარი უფლებების დაცვის იურიდიულ შესაძლებლობებს შეისწავლის, თუმცა, საბანკო შეტყობინებების მიუხედავად, თავის კრედიტორებთან მილაპარაკებების გაგრძელებას ან ყველა თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ყოველგვარი ზომების მიღებას აპირებს. კორინდიანტორ ბანკს, აგენტსა და მოცემული კრედიტის სრულყოფილებას ორგანიზატორს Societe General S.A. ბანკი წარმოადგენს. კრედიტის სხვა სრულყოფილებას ორგანიზატორთა რიგებში არიან, აგრეთვე, Citibank N.A., Commerzbank AG, Credit Lyonnais S.A., Deutsche Bank AG, HSBC Bank Plc, ING Bank N.V., KBC Bank N.V., BNP Paribas, და UFJ Bank Nederland N.V.

იუკოსთან დაკავშირებულ ბიზნეს-სრეგები უკანასკნელმა მოვლენებმა ნამდვილი პანიკა გამოიწვია. არავის სჯერა, რომ სახანოთო კომპანია გაკოტრებას გადაურჩება და ყველა ცდილობს, გაკოტრების პროცესში დანაკარგებს მინიმუმამდე დაიყვანოს. ამგვარი ქვეყნის ნათელი მაგალითია ბერმუდის საინვესტიციო კომპანიის - Roxwell Holdings Ltd-სა და იუკოსის სხვა მინორიტარული აქციონერების ქმედებები, რომელთაც ნიუ იორკის ერთ-ერთი საოლქო სასამართლოში კომპანიის, მისი ძირითადი აქციონერებისა და აუდიტორის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. ისინი კომპანიის მფლობელებს - მიხაილ ხოდორკოვსკის, პლატონ ლებედევსა

და ვასილი შახნოვსკის ბრალს სდებენ იმაში, რომ ამ უკანასკნელმა ოფიციალურ ანგარიშებში "ცრუ, შეცდომიანი შედეგები და არასრული" ინფორმაცია წარმოადგინეს. მინორიტართა ეს ნაბიჯები საგნობრივად გასაგებია, რადგან გაკოტრების შედეგად ყველაზე მეტად ისინი დაზარალებულნი არიან. Roxwell Holdings-ისა და სხვა ინვესტორთა მთავარ ბრალდებას წარმოადგენს ის, რომ ისინი იუკოსის აქციების ხელფონურად გაზრდილ ფასებში ყიდულობდნენ.

საკუთარი ინტერესების დაცვის ნაკლებად აგრესიული მეთოდი აირჩია მინორიტარულ კომპანიათა მეორე გჯგუფმა. იენისის ბოლოს, თორმეტმა ან ინვესტიციო ფონდმა, რომლებიც იუკოსის აქციათა 5 პროცენტს ფლობენ, ვლადიმირ პუტინს წერილი გაუგზავნა. წერილის ავტორთა შორის იყვნენ T Rowi Price, AXA Investment, DEKA Investment Union Investment, Robur AB. წერილში აღნიშნულია, რომ მათ არ სურთ იუკოსის ძირითად აქციონერთა და სახელმწიფოს შორის სასამართლო დარჩევების მსხვერპლნი გახდნენ, რადგან ისინი, მათივე განცხადებით, "იუკოსის აქციათა კეთილსინდისიერი მფლობელები" იყვნენ. "თუ მინორიტარები თავიანთი კაპიტალდაზარალებების დაკარგვას, ეს ეჭვის ქვეშ დააყენებს რუსეთში კერძო საკუთრების უფლებების და ინვესტორთა უფლებების დაცვას. რუსეთის უზარალო მოქალაქეები კი დაინახავენ, რომ სახელმწიფო, თავისი მიზნების მისაღწევად სასამართლოებით მანიპულირებასაც არ მოერიდება," - ნათქვამია წერილში.

ენ პოლიეუდში, ბროდვეისა და საერთოდ, გართობის ინდუსტრიაში "ებრაული მოძალების" შენდებვასა და უარყოფას, ახლა ნილაბი აიხადა, "ნიუ იორკ თაიში" კი იუდაიზმისა და ინტერტიმენტის კონვენიალიზმა აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგინება რომ სცადა. ახლა ებრაელები უფრო ხშირად ირთავენ ცოლად ებრაულ ქალებს, მაიტი შვილები ბარ მიტცეუს პრაქტიკას ენევიან და ჰედერზე დადიან... ამას პრო-სემიტობას არ ვუნდოდებ, მაგრამ ჩვენ უკვე ოჯახის წევრები ვაფხვდით (ამერიკული ოჯახისა - მ.ს.). ებრაელები უცებ უფრო მეტად ამერიკელებს გახდნენ, ვიდრე ემიგრანტთა ნებისმიერი სხვა ჯგუფი".

"თვით" ბარბარა სტრეიზანდი, "ებრაული ბულბული" ეთაყვანებანი? შარლტანები, რომელთაც მთელ მსოფლიოში 50 ფილიალი აქვთ გახსნილი, თავიანთ მიმდევრებს, არაებრაელებსაც კი, ებრაული მისტიციზმის წვდომას ჰპირდებიან. ეს ისე, სულის გასახარად. მოკვდავი არაბის ჰპირდება. ფილიალები ვაჭრობენ მთიანეთის კაბალისტური წყაროების "წმინდა წყლის" (ასეთი წყლის ერთი ლიტრი ორდოლარნახევარი ღირს), სახის "ნაკურთხი" კრემებით და "ავი თვალისგან დამცველი" ნითელი სამაჯურებით. ბერგის ცენტრი განსაკუთრებული ვნებით ცდილობს მადონასთან ცნობილი ადამიანების "დათრევას". რაბინი ცუხუკ ადლერმანი, ებრაული

## სიყვარული ნამდვირი 15 სიმღერა

საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის კულტურული პროექტი

წლებიდანვე პრეზენტაციის უფრო მრავალრიცხოვანი და მალაქის რანგის სტუმრები ჰყავდა. რასაკვირველია, მონვეული იყო კომპატიბლსკი მუსული ყველა სიმღერის შემსრულებელი (თამარიკო გვერდნითელი, რომლის თბილისში ჩამოსვლის ძირითადი მიზეზი გუშინდელი პრეზენტაციაც იყო; ლელა ნურნუშია, ირმა სოხაძე, თამარიკო ჭიხონელიძე, ზურაბ დოიჯაშვილი...); პროექტის სპონსორი "თი-ბი-სი" ბანკის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე; ისრაელის ელჩი საქართველოში რიკა კოენი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, საქართველოდან გამოსული ებრაელების საზოგადოების მთავარი რაბინი ხახამ მიხელაშვილი, მასმედის წარმომადგენელი და რასაკვირველია, მასპინძელი, საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის ხელმძღვანელი იციკ მოშე.

ბუნებრივია, რომ პრეზენტაციაზე გამომსვლელთა უპირველესი თემა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის ხელოვნება იყო. ხახამ მიხელაშვილი საქართველოდან გამოსული ებრაელების სახელით მომხდარი დაგმო და წინადადება წამოაყენა, შეიქმნას ერთობლივი ჯგუფი, რომელიც მონასტრის მფლობელის საკითხს დააყენებს და გადაწყვეტს. მომხდარის გამო შემოერთება გამიჯნა ისრაელის ელჩისა. "ჩვენმა ექსპერტებმა დადასტურეს, რომ ვერცხვის აღდგენა შესაძლებელია. ისრაელის მთავრობა მზადაა მონაწილე-



საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატამ ტრადიციულად აქცია ყოველწლიურად მუსიკალური ჩანაწერი მიუძღვნას ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს; მარჯვნივ მსჯავის პრეზენტაციით "მერიოტში" ფართო საზოგადოებაში ახალგაზრდა მომღერალი მარია გაიცნო. წელს კი ბიზნეს-პალატამ საკუთარ პროექტში უფრო პოპულარული და ნაცნობი სახელები ჩართო. თანაც, წლებიდანვე პრეზენტაციით ორგანიზაციამ მოღვაწეობის თხუთმეტი წლისთავიც აღნიშნა.

"სიყვარულით საქართველოდან", - ეს კომპაქტ-დისკის სახელწოდებაა. ჩანაწერში შესულია 15 ებრაული სიმღერა კარგად და ნაკლებად ცნობილი ქართველი მომღერლების შესრულებით. დისკები გუშინ პრეზენტაციაზე მისულ საზოგადოებას საჩუქრად დაურიგდა. თუმცა, ეს არ იყო ყველაფერი. მარჯვნივსგან განსხვავებით,

ობა მიიღოს ფრესკის აღდგენაში", - თქვა რიკა კოენმა. "ჩვენი მგობრობა იმდენად ძლიერია, რომ ამას ვერაფერი შეარყევს; ესაა უდიდესი განძი, რომელიც საქართველოსა და ისრაელის ხალხებს გაგვიჩინა. ვერაფერი ამორღის ჩვენს კვალს, რუსთაველის

კვალს იერუსალიმიდან", - ეს კი მინისტრი გიორგი გაბაშვილის კომენტაჟია ამ ყველაფერთან დაკავშირებით. პრეზენტაციის ოფიციალური ნაწილი ამით არ ამორღულა. დასასრულისკენ პროექტის ორგანიზატორებმაც და სტუმრებმაც ხელი მოაწერეს სი-

ელს, რომელიც გიორგი გაბაშვილმა ჩაიბარა მიხელ სააკაშვილისთვის გადასაცემად; სიგელს საქართველოს პრეზიდენტი მოახლოებული ვიზიტისას ისრაელის პრეზიდენტს გადსაცემს. პრეზენტაციის კიდევ ერთი ძირითადი თემა კი მომღერალი თამარ გვე-

სამართლისა და ეთიკის სპეციალისტი, ბერგების მოღვაწეობას "ტრადიციული ებრაული სიბრძნის, გველის მალამოსა და შარლტანობის ნარევის" უწოდებს. ის ამბობს, რომ ისინი ექსპლუატაციას უწევენ "ადამიანთა სიზარმაცეს, რომელთაც სურთ მსუბუქი საქმლით მარტივი პასუხი გასცენ გურმანის კითხვებს". ადლერმანი ბერგებს კაბალას ქემარტიტ მცოდნეებად არ თვლის, ვინაიდან ისინი თავიანთ მიმდევრებს არწმუნებენ, რომ არამეულ ენაზე დაწერილი ძირითადი კაბალისტური ტექსტის, ზახარის გაგებაც არ შეეძლება, მის სიბრძნეს ჩანსწვდებიან, თუ გვერდებს თითს გააყოლებენ.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ღვთისმეტყველებისა და ბრძენების არგუმენტები არაფერია მადონას პოპულარობასთან შედარებით. რით უნდა აჯობოს იმავე მკვდარი ენაზე დაწერილმა ზახარამ ცოცხალ მადონას, რომლის მაისურზეც წერია: "კაბალისტები ამას უკეთ აკეთებენ"? რას - "ამას", სექსუალ საუბარი თუ იუდაიზმის სიბრძნის წვდომაზე? ძნელი სათქმელია. ლუიზიანას უნივერსიტეტის რელიგიის პროფესორი როჯერ კამენცი ამასთან დაკავშირებით გვაფრთხილებს, რომ "მადონა ებრაული რიტუალებით არტისტულ ხრიკებს ასრულებს. ამ ხრიკებში ღვთისმოსაობისა და ღვთის გმობის სასტიკი ნაერთი ვიბირებს". ამ დროს აუცილებლად მოგაგონდება მადონას კათოლიკური "არტისტული ხრიკები", როცა ის თავის კონცერტებზე ჯვრის შეშვებით მასტრუბაციას ასახიერებდა.

ტელეარხ სი-ენ-ენ-ზე ლერი კინგთან ინტერვიუში მადონას სექსი არ უხსენებია და კაბალასთან რომანის შესახებ ამაღლებული ფრაზებით საუბრობდა. "მე რაღაცის ძებნაში ვიყავი," ამბობდა ის, "და ოვგის პრაქტიკის დროს ცხოვრების აზრზე ფიქრობდი. რატომ ვარ აქ? აქ რას ვაკეთებ? რა არის ჩემი ცხოვრების მიზანი? როგორ ვეწევი საყვარლის საერთო სურათში? მე ვიცი, რომ სიცოცხლე მეტია, ვიდრე დიდი ფულის კეთება, მეტია, ვიდრე წარმტყუბა და ოჯახიც კი".

მადონას კაბალისტურ რეინკარნაციას აშშ-ს ებრაული თემების მიღწევი მხარს უჭერენ. მათთვის მადონას პიარი მეტს ნიშნავს, ვიდრე მისი რწმენის სინამდვილე. ის არც პირველია და არც უკანასკნელი იმ ებრაულ-ინტერტიმენტურთაგან, რომლებსაც რელიგია თავისი პოპულარობის მიზნითთვის იყენებს. იმ მაგალითის მოყვანაც საკმარისია, თუ როგორ ახდენს საინტელიგენციის ეკლესია პოლიეუდის სუპერვარსკვლავების, ტომ კრუზისა და ჯონ ტრავოლტას მანიპულირებას. ვინაიდან აქ ძალიან დელიკატური საკითხებზეა საუბარი, დასკვნით მისტიციზმის წვდომას ჰპირდებიან. ეს ისე, სულის გასახარად. მოკვდავი არაბის ჰპირდება. ფილიალები ვაჭრობენ მთიანეთის კაბალისტური წყაროების "წმინდა წყლის" (ასეთი წყლის ერთი ლიტრი ორდოლარნახევარი ღირს), სახის "ნაკურთხი" კრემებით და "ავი თვალისგან დამცველი" ნითელი სამაჯურებით. ბერგის ცენტრი განსაკუთრებული ვნებით ცდილობს მადონასთან ცნობილი ადამიანების "დათრევას". რაბინი ცუხუკ ადლერმანი, ებრაული

თუმცა, რაბინმა ეფრაიმ ბუხვალდმა წინადადება არ დაამთავრა, მისი აზრი სასუსებო ნათელია. მეც აღარაფერი მეთქმის.

EURO-2004

მილან ბაროში ზომბარდირად დარჩა

მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთის ნაკრები ნახევარფინალურ ეტაპზე გამოეთიშა ევროპის ჩემპიონატს, ზომბარდირთა დავაში ჩეხი თავდასხმელის, მილან ბაროშის დანევა მაინც ვერაინი შეძლო. ასე

და ამრიგად, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ზომბარდირი სწორედ მილან ბაროში გახლავთ 5 გოლით. ნარმოგიდგენით იმ ფეხბურთელთა სიაში, ვინც ევროპის ჩემპიონატზე გოლი გაიტანა.



ბაროში ტურნირის საუკეთესო ზომბარდირია.

იბედია, ათენში შევალვით

დაუჯერებელია! ერთი აუწერელია! ეს ყველაფერი ნამდვილი სენსაციაა! - საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია! ყველა მატჩს ჰყავს თავისი გამარჯვებულები და თავისი დამარცხებულები, მით უმეტეს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩს. გამარჯვებული ვუშინჩინ საბერძნეთი იყო, დამარცხებული - პორტუგალია. ბერძნები სიხარულის ცრემლებს ღვრიდნენ, პორტუგალიელები - სიმწრისა. ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, რომ საბერძნეთის ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა. ბერძნები გმირებად დაბრუნდნენ სამშობლოში, ათენის "პანათინაიკოსის" სტადიონზე მათ ერთი აუწერელი ზეიმი მოუწყოვეს. ვთავაზობთ კომენტარებს, რომლებიც ფინალური მატჩის მონაწილეებმა გააკეთეს შეხვედრის შემდეგ.



ასე გამოიყურებოდა გუმინ ათენი.

Table with 4 columns: მოთამაშე, ქვეყანა, გოლი, პენალტი. Lists players from various countries and their goal counts.

ოტო რეპაველი (საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი): "ეს რაღაც განსაკუთრებული რამ არის ბერძნული და, საერთოდ, ევროპის ფეხბურთისთვის. ჩემმა ბიჭებმა დღეს ისტორია დაწერეს. ახლა მთელი საბერძნეთი გაერთიანებულია. შესანიშნავი ტურნირი იყო, ყველამ დიდებული ფეხბურთი ითამაშა. ჩვენ კი, კიდევ ერთხელ, მაქსიმუმი გამოვწურეთ ჩვენი შესაძლებლობებიდან. ტექნიკის თვალსაზრისით, მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო, მაგრამ გოლები ხომ უნდა გაეტანათ! ორმაბათს, საბერძნეთში დაბრუნებისას, ჩვენ ერთი აუწერელი სცენების მომსწრენი ვაგვხვდებით. იმედია, ათენში შევალვით. თორმეტი წლის წინათ, როდესაც ბრემენის "ვერდერთან" ერთად უფვა-ს თასი მოვიგეთ, ვინმეს რომ ეს ყველაფერი ენინანსარმეტყველებინა, ჭკუიდან შეშლილი მეგობრობდა. ვასული სამი წლის განმავლობაში დიდებული სამუშაო ვაგენით და მინდა, ჩემს გუნდს კიდევ ერთხელ ვუთხრა დიდი კომპლიმენტი".

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ბარკანი ზაგორაკისია



ზაგორაკისი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ანგელის ხარისტესის (საბერძნეთის ნაკრების თავდასხმელი, გამარჯვების გოლის ავტორი): "დაუჯერებელია! ჩვენ ევროპის ჩემპიონები ვართ! ეს უდიდესი დღეა ბერძნული ფეხბურთისთვის. დღეს ყველა ბერძენმა უნდა იხეიშოს, სულ ერთია სად, გერმანიაში, ავსტრალიაში თუ სადმე სხვაგან. ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო მომენტია. მართალია, გამარჯვების გოლი მე ვავიტანე, მაგრამ ეს ნარმატება მთელი გუნდის დამსახურებაა. ალბათ, ბევრს გაუკვირდება, თუ როგორ მოვახერხეთ ეს. ვა-

მაყო, რომ ბერძენი ვარ". სტელოს იანაკოპულოსი (საბერძნეთის ნაკრების ნახევარცენტრი): "ჩვენ ამ ტურნირის აპკარა აუტსაიდერები ვიყავით და ცვდილობდით, უბრალოდ, ჩვენი ფეხბურთი გვეთამაშა. პირველდანი უკანასკნელ მატჩამდე არ დაგვიკარგავს საკუთარი თავის იმედი. ჩვენ ძალიან კონცენტრირებული და დისციპლინირებული ვიყავით. ჯერ კიდევ ფინალის წინ ვთქვით, რომ დასაკარგი არაფერი გვექონდა. ეს კი თითქმის უკვე გამარჯვებას უდრდა".

ლუიშ ფელიპე სკოლარი (პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი): "მთელ პორტუგალიას პატივებს ეთხოვთ. ძალიან ძნელია, როცა გოლს ვერ გაიტან და ისე დამარცხდები. საბერძნეთმა დამსახურებულად გაიმარჯვა, რადგან მათი გუნდი ძალიან მოხერხებულად იცავდა თავს. იმ მომენტში, როდესაც გოლი ვაგუსვით, ჩვენი დაცვა არცთუ ისე ყურადღებულ იყო. ამ დროს ილბალმაც ითამაშა თავისი როლი. გოლის გატანის შანსი ჩვენც გვექონდა, მაგრამ არ გვერბოდა ილბალი. ახლა ჩვენ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის უნდა მოვმზადდეთ".

ფრანც ბეკენბაუერი (2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი): "საბერძნეთმა დამსახურებულად გაიმარჯვა, მათ ორჯერ დაამარცხეს მასპინძელი პორტუგალია, მოუგეს უკვე ყოფილ ჩემპიონ საფრანგეთს, ტურნირის გამოთიშეს ჩეხეთი. ცხადია, მათი ჩემპიონობა სიურპრიზი იყო. ეს თითქმის ისეთივე ზღაპარია, როგორც დანამ შემოგვთავაზა 1992 წელს. ამ ევროპის ჩემპიონატმა კარგად დაგვანახა, რომ აუტსაიდერებსაც საუკეთესო შანსები აქვთ".

ნენიკაკამინ!

"ღმერთო, მომეცი კიდევ ცრემლები, რათა სიხარულსგან ტირილი განვავგრძო"

საბერძნეთის ნაკრების კაპიტანი თეოდოროს ზაგორაკისი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მთელი სამი კვირის განმავლობაში ტურნირის UEFA-ს ტექნიკური ჯგუფის წევრები, მწვრთნელებით დაკომპლექტებული კომისია და სხვა ექსპერტები აკვირდებოდნენ. სწორედ მათ ევალებოდათ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა. დამკვირვებელი დასკვნის შედეგი გუმინ ლისაბონში გაამხილეს. ერთი სიტყვით, ათენის "აეკი"-ს 32 წლის ნახევარმცველი თეოდოროს ზაგორაკისი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ზაგორაკისი, მარილაც, საუკეთესო იყო ამ ჩემპიონატზე. თანაც, არა მხოლოდ დასკვნით ეტაპზე, არამედ საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენაშიც. "ლივერპულის" ან უკვე ყოფილი მწვრთნელი ჟერარდ ულიე ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ზაგორაკისი საუკეთესოდ მიიჩნია. "ის ნამდვილი კაპიტანია. ზაგორაკისი საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა ჩემპიონატის პირველ და უკანასკნელ მატჩებში. ის შესანიშნავი ფეხბურთელია, ნამდვილი ლიდერი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს გუნდზე", - განაცხადა ულიემ. მსგავსი დიდი ტურნირების ისტორიაში პირველად, საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაში ამჯერად გულშემატკივრებმაც მიიღეს მონაწილეობა. UEFA-ს ვებგვერდის საშუალებით ნებისმიერ მსურველს შეეძლო ხმა მიეცა თავისი რჩეულისთვის. გულშემატკივართა ხმები გაითვალისწინეს UEFA-ს ტექნიკური ჯგუფის დასკვნაში.

საბერძნეთის ნაკრების ტრიუმფი საერთაშორისო პრესის მსჯელობის უმთავრესი თემაა. მატჩის მეორე დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა გამოცემის პირველი გვერდი გამარჯვებული ბერძნების ფოტოებით იყო აჭრელებული. აქვე წაიკითხავდით იმ ფრაზებს, რომელთა ერთ ნაწილს ქვემოთ ვთავაზობთ.



"გააღეთ ტიშკრები - ღმერთები შინ ბრუნდებიან".

საბერძნეთი Derby: "ნენიკაკამინ (ძველბერძნულად: "ჩვენ ვაგიმარჯვებთ"). ეს სიმართლეა, დაიჯერეთ! საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია!"

Filathlios: "ნენიკაკამინ. ღმერთო, რა ბედნიერებაა! საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია!"

Sportime: "ღმერთო, მომეცი კიდევ ცრემლები, რათა სიხარულისგან ტირილი განვავგრძო!"

Score Live: "მთელი საბერძნეთი სიხარულის ცრემლებს ღვრის! 4 ივლისი ეროვნული დღესასწაულია!"

Goal News: "უკვადვები! ანგელოზების მელოდია! და ლუისი" პოემა დაწერა"

Fos: "ჩვენ მას დავეუფლეთ და მთელი ლანეტა შევშალეთ ჭკუიდან. ეს ღმერთების მოხვდა. შედეგად ჩემპიონები ვართ!"

To Ethnos: "ნენიკაკამინ. გააღეთ ტიშკრები, ჩვენი ბიჭები ევროპის ჩემპიონებად გვიბრუნდებიან!"

Espresso: "სუპერ-საბერძნეთი! ულანეტა ლურჯია!"

Eleftheros Typos: "ევროპის მწვერვალზე. მათ საბერძნეთი აღაზვეს!"

Apogevmatini: "ნენიკაკამინ. საბერძნეთი ევროპის ტახტზე!"

Elefthergia: "ტრეფლას (ტრეფლას = სიციფე, ელას = პელას, ანუ საბერძნეთი)"

Chora: "ღიას, ღიას, ღიას, ჩვენ

მას დავეუფლეთ. რეპაველის სუპერ-მოთამაშეები ღმერთები არიან. ერთ-ერთი ანგელოზის სუპერ-გოლის წყალობით მათ ცაში ალაზხევეს საბერძნეთი." Avriani: "მათ ცაში ანიეს სუპერ-საბერძნეთი." Naftemporiki: "ოცნებების თაღის. ათენი გმირებს მოვლის." Imerisia: "ოქროს ოცნება!" Traffic: "ყველანი გიგანტების გვერდით. გმირების დახვედრა პანათინაიკოსის სტადიონზეა." Vradini: "ბერძენი ღმერთები." Estia: "ტრიუმფი პორტუგალიის წინააღმდეგ. ევროპის ჩემპიონები!" Eleftheri Ura: "საბერძნეთმა ბურთი დაამარცხა. მილიონობით ბერძენი სულის ნეტარების ნუთებს განიცდის."

პორტუგალია A Bola: "პორტუგალია თავისი ეროვნული ნაკრების სიამაყით იმრობს ცრემლებს". Record: "პორტუგალია ამაყობს თავისი ფეხბურთელებით. ფინალში ილბალი გვაკლდა."

O Jogo: "დიდ ტრიუმფამდე

სულ ცოტა დაგვაკლდა." Correiro da Manha: "დიდი ოცნება ჩაიფრება. მიუხედავად ამისა, ნუბ ფიჯუს გუნდი თავანუელი გამორგვემედიობა."

Publico: "ეს ყველაფერი ღირდა. პორტუგალიის ფეხბურთმა უდიდესი სიხარული მიანიჭა მთელ ერს. მაშინაც კი, როდესაც პეფინდი ვერ ვიხილეთ."

ბერძენი Bild: "მეფე რეპაკლეს I - ევროპის მეფე". Westdeutsche Allgemeine: "სრულყოფილი სენსაცია". Kicker: "ბერძნული ოქროსი მთა დაიპყრეს."

ესპანეთი AS: "თავდაპირობის ტრიუმფი. საბერძნეთმა თავიდან გამოიგონა ფეხბურთი და დამსახურებულად გახდა ევროპის ჩემპიონი. ბერძნულმა მითოლოგიამ ადგილი უნდა გამოათავისუფლოს თავისი ღმერთების უსასრულო სიაში და იქ ოქროს რეპაველის სახელი ჩაწეროს."

Marca: "ბერძნული ოქროსი მემპრეტი. ხარისტესა - მენი გოლის გა-

მო პორტუგალია მოკვდა. ეს ეგვიპტის ზღვის მეკობრეები იყვნენ. პორტუგალიელთა აქილევსის ქუსლი გერმანიელ ბარბაროსი, სახელად რეპაველი იყო."

იტალია Gazzetta dello Sport: "საბერძნეთმა ოლიმპიური თამაშების მეექვსე რგოლი მოიპოვა. ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 40 დღით ადრე, ხარისტესამა საბერძნეთის სპორტის ისტორიას ყველაზე დიდი გამარჯვება მოუტანა. ფიჯე - დიდი გმირის დაღმასვლა."

Tuttosport: "ბერძნული ზეიმი ევროპაში. ბერძნების დაუჯერებელი ტრიუმფი. თორმეტი წელი გავიდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. დღევანდელი საბერძნეთი გუმინდელი დანიაა. ბერძენი ევროპის მთავარი სიხარულია."

Corriere dello Sport: "მთელ ევროპაში ბერძნული ლამეა. დიდმა ქვეყნებმა ფასიკო განიცადეს, გაიმარჯვა აუტსაიდერმა. ოქროს რეპაველის დიდი ზეიმი".

UEFA-მ სიმბოლური ნაკრები დაასახელა

UEFA-ს ტექნიკურმა ჯგუფმა გუმინ ევროპის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები გამოაცხადა. 23-კაციანი შემადგენლობაში ორი მეკარე, შვიდი მცველი, შვიდი ნახევარმცველი და შვიდი თავდასხმელია.

"სიმბოლური ნაკრების დასახელების მიზანი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენა დასახელება. გადამწყვეტილების მიღება ძნელი იყო, თუმცა, საბოლოოდ კოლექტიური გადაწყვეტილება მივიღეთ. ეს ნაკრები ევროპი ფეხბურ-

ევრო 2004-ის სიმბოლური ნაკრები

Table with 3 columns: პოზიცია, მოთამაშე, ქვეყანა. Lists players from various countries in their respective positions.

EURO-2004

# ეს რომ ვინმეს ეწინასწარმეტყველებინა, ბიუტი მებონებოდა ინტერვიუ ოტო რეშაგელთან

ის 12 წლის განმავლობაში წერტონიდა ბრემენის "ვერდერს" და ამ გუნდთან ერთად არაერთი დიდი გამარჯვება იზეიმა. შემდეგ იყო მოუნხნეთის "პაიერნი", რომელსაც მან UEFA-ს თასი მოაპოვებინა და, მიუხედავად ამისა, პოსტი დატოვებინა. "პაიერნიდან" გაძევებულმა მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე "კაიზერსლაუტერნი" ჩაიბარა, გადაიყვანა უმაღლეს ლიგაში და იმავე წელს გერმანიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. "კაიზერსლაუტერნი" მან თავი უწულა დატოვა და საბერძნეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ბერძნეთის ეს დიდი მოულოდნელობა იყო. მართლაც, გასაკვირი ამბავია, რა ესაქმებოდა ყველასთვის პატრისაცემ, წარმატებულ მწერტონელს საბერძნეთში? ამ გუნდში მუშაობა ხომ დიდ გამარჯვებებზე უარის თქმის ტოლფასი იყო...



რეშაგელმა ბერძნული იპრთიანება შეძლო.

გერმანიაში მას ყოველთვის "მეფე ოტოს" უსახდენ, საბერძნეთში კი ის "ჰერაკლესი" გახდა. ათენის ცენტრში მის ძეგლს დაუდგამენ, ქვეყნის მთავრობა კი საბერძნეთის მოქალაქეობას სთხოვს. რეჰაგელი ევროპის ჩემპიონია, ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი სასწაულის მთავარი შემოქმედ...  
**გაკვეთი თუ არა გააზრებული, რა შეძლების საბერძნეთის ნაკრებთან ერთად?**

- ჩვენი ეს გამარჯვება ყოველგვარ სპორტულ დატვირთვებს სცილდება. ფანტასტიკაა, რომ ფეხბურთის შესწევს უნარი, ერთ მშვენიერ დღეს ყველა ადამიანი გააერთიანოს. ეს არის ის, რასაც პოლიტიკოსები ამაოდ ცდილობენ. სიმღერა უარს ამბობს ასეთი: "ადამიანები ძმები დღეობან".  
**რამ განაპირობა ეს წარმატება?**

- გულთბილი მადლობა ჩემს გუნდს, რომელმაც უაღრესად ღირსეულად წარ-

მოაჩინა თავი. ადვილი არ არის, როდესაც 30 კაცი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთად. გასული სამი წლის განმავლობაში შეიკრა გუნდი, რომელმაც ეს სასწაული მოახდინა.

- **თქვენ გერმანიის ნაკრების მწერტონელობის კანდიდატი ხართ. შეასრულებთ კი ბერძნეთთან 2006 წლამდე დადგენულ კონტრაქტს?**

- ახლა დროა, იმ ბიჭებზე ვისაუბროთ, რომელთაც ეს სასწაული მოახდინეს. ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით წარმოთქმული ერთი სიტყვაც კი ფაქტურად იქნებოდა.

- **რას უპასუხებდით, ვინმეს ევროპის ჩემპიონატის დანებებაზე რომ ეთქვა, საბერძნეთი ჩემპიონი გახდება?**

- ჩვენ ხომ ევროპის ჩემპიონატის საეკვლიოკაციო ტურნირი დავტოვეთ. შემდეგ ის გაინტერესდება, თუ რისი უნარი შესწევდა გუნდს. ვერ წარმოგეგვადინა, რომ ასე შორს წავიდოდით. თავდაპირველად მხოლოდ პორტუგალიის წინააღმდეგ პირველ მატჩზე ვიყავით

კონცენტრირებული. გვინდოდა, გვენახა, შევძენდით თუ არა სხვებისთვის კონკურენტის განეგას.

- **დავორიტებმა მარცხი იწვინეს. საბერძნეთმა საფრანგეთს, ჩეხეთს და ორჯერ პორტუგალიას მოუგო. დიდები დაპატივდნენ თუ პატივები გაიზარდნენ?**

- სამყარო ერთ ოთახს დაგვსვავსა. ადამიანებმა ყველაფერი იციან ერთმანეთის შესახებ. თვით ლატვიელმაც დაგვიანახეს, რომ ერთი პატარა ჯგუფის, ერთი-ორი კარგი ფეხბურთელის ხარჯზე წარმატების მიღწევა შეიძლება. ტურნირი სწორედ ასეთმა, ყველასთვის მოულოდნელმა გუნდმა მოიგო. იყო რამდენიმე სენსაცია. სწორედ ეს ზღის მთელ ამბავს ასე სანიტურესოს.

- **თქვენი ტაქტიკის შესახებ ხომ არ გვეტყვი რაიმეს?**

- ყველაფერს საჯაროდ ხომ არ მოვაცხადებ...

- **როგორ შეფასებდით ანგლოს ხარისტვანის თამაშს, რომელიც ბრე-**

**შენის "ვერდერის" ძირითად შემადგენლობაში ვერ სვდებ?**

- ის პირველივე დღიდან ჩვენი გუნდის წევრი იყო. მე თვალს ვადევნებდი მის თამაშს. ვნახე, რომ ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში. "ვერდერში" მას არცთუ ისე ხშირად უწევს გამოხველა, მაგრამ ჩემს ყოფილ ფეხბურთელებს, ტომას შა-აფსა და კლაუს ალოფსსაც უნდა გავუყუროთ. მათ სხვა ძლიერი თავდამსხმელებიც ჰყავთ შემადგენლობაში. ჩვენთან კი მას არც ისე ბევრი კონკურენტი ჰყავს. ხარისტვანმა ბრწყინვალედ ჩაატარა ჩემპიონატი.

- **რას ნიშნავს ეს გამარჯვება საბერძნეთისთვის?**

- პირველ რიგში ის მხარბებს, რომ ჩვენ ადამიანები ასე გავაუმჯობესებთ. ბერძნები გადაჭარბებისკენ არიან მიდრეკილი - მწუხარების დროსაც და ღიზნიც. შესანიშნავია, რომ ეს ადამიანები ასე დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

ფრანკურათი

## გზა რომისკენ



ბულგარელებმა რომში თამაში გაინაღდეს.

**ააბაბა თორმადი**

იტალიაში, კერძოდ, რომში, 16 ივლისს გასამართი მსოფლიო ლიგის ფინალური ეტაპის ოთხი მონაწილედან სამი უკვე ცნობილია. უფრო ზუსტად, ერთი მათგანი, იტალია, როგორც მასპინძელი, თავიდანვე ფინალის მონაწილედ ითვლებოდა. გასარკვევი იყო დანარჩენი სამი, რომელთაგან ორი ვინაობა გაუმინინ გაირკვა.

მსოფლიო ჩემპიონმა და მსოფლიო ლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა ბრაზილიამ და ოლიმპიურმა ჩემპიონმა სერბეთმა ფრენბურთის სამყაროს კიდევ ერთხელ დაანახეს თავიანთი ძალა და ვადაიმდე გაინაღდეს ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. საამისოდ ბრაზილიელებს მეხუთე ტურში ესპანელების, სერბებს კი ჩინელთა დამარცხება მოუხდათ.

ბრაზილიას ერთი მოგებაც ჰყოფინა და მიზნის მისაღწევად, რაც სამხრეთ-ამერიკელებმა პირველივე მატჩში შესარულეს – დაამარცხეს ესპანელები (3:2). მეორე შეხვედრა უბრალო ფორმალობა და ბრაზილიელთა უძლეველობის კიდევ ერთ მტკიცებულებად იქცა – 3:0.

"პირველ მატჩში ცოტა გავიჭირა და, თუმცა, დარწმუნებულ ვიყავი, რომ მოვიგებდით. ჩვენ მაქსიმალისტები ვართ და შეეცადებთ, ნლკანდელი ტურნირი ნაუგებლად დავსრულოთ. ამის პოტენციალი ბრაზილიის ნაკრებს ნამდვილად აქვს", - განაცხადა ბრაზილიელთა დამარცხებულმა ბერნარდო რესნემ.

ფინალურ ეტაპზე მოსახდირად ერთი მოგება სჭირდებოდა სერბების გუნდსაც. სერბები საკუთარ მოედანზე

იღებდნენ ჩინეთის ეროვნულ გუნდს, რომელსაც ორივე მატჩის მოგების შემთხვევაში იტალიაში თამაშის შანსი ეძლეოდა. ჩინელთა სამწუხაროდ, მათ ამოცანას თავი ვერ გაართვეს. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა პირველი მატჩი, რომელმაც გადაწყვიტა კიდევ, ვინ ითამაშებდა C ჯგუფში იტალიაში – სერბებმა ტაი-ბრეიჯზე აჯობეს მტოქებს. მეორე მატჩი, რომელიც არაფერს წყვეტდა, მასპინძლებმა 3:0 მოიგეს.

"უაღრესად დაძაბული და რთული მატჩი იყო. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა. ერთი-ორ შემთხვევაში ნამდვილად გაგვიძირათლა, თუმცა, როგორც იტყვიან, ფორტუნა ძლიერებს სწყალობთ. ასე რომ, ყველაფერი კანონზომიერად მოხდა, რაც დღემდე გაიმარჯვა", - გახარებული იყო სერბეთის ნაკრების მოთამაშე გორან მარაჩი.

ბუნებრივია, უგუნებოდ იყო ჩინელ-

თა მწერტონელი დი ანე: "პირველი მატჩი რომ მოგვეგო, მეორეში ფსიქოლოგიური უპირატესობა გვექნებოდა და მოგების შანსიც გაიზრდებოდა. სამწუხაროდ, პირველი მატჩი ვერ მოვიგეთ. ამას ბევრი მიზეზი აქვს. მატჩის გარჩევის შემდეგ უფრო კარგად ვნახეთ, სად რა შეგვეშალა. ამ შემთხვევაში ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა, მომავლისთვის აუცილებელია".

ყველაზე გაურკვეველი ვითარება B ჯგუფში, სადაც ბოლო ტურის წინ ერთდროულად სამი გუნდი ინარჩუნებდა ევროპულ ეტაპზე მოხვედრის შანსს. ყველაზე კარგ მდგომარეობაში არიან ბულგარელები და, ალბათ, ისინი მოიპოვებენ ერთადერთ საგზურს ამ ჯგუფში. მეხუთე ტურში ბულგარელებმა პოლონელების სძლიეს (ორვე მატჩში ერთიანი ანგარიშით - 3:0). "უბნობდეთ გარარბელებ ვარ, რომ მატჩებს დამარცხება შეეძელით. ბუნებრივია, მეგრო-

და, რომ მოვიგებდით, მაგრამ არ მეგონა, თუ როგორ ასეთი ანგარიშით დავამარცხებდით პოლონელებს. მსოფლიო ლიგაში თამაში სწორედ აქ, ვარნაში დაიწყო 1994 წელს და ახლა, 10 წლის შემდეგ, ისევ აქ ვაჩვენებთ სამყაროს, რომ ბულგარეთს დიდი გუნდი ჰყავს. პოლონელებს კი წარმატებას ვუსურვებ ოლიმპიურ თამაშებზე", - განაცხადა ბულგარელთა თავკაცმა ბრუნკო ილიევმა.

ბოლო ტურში ბულგარელები მიიღებენ აუტსაიდერი იაპონიას, რომელსაც ჯერ არც ერთი გამარჯვება არა აქვს. პოლონელები კი, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ იტალიაში გამგზავრების შანსს, ასევე მსხმსემორჩენილ საფრანგეთს ეთამაშებიან.

სატურნირო მიითარება გოლო ტურის წინ				
<b>A ჯგუფი</b>	თ	მ	გ	ქ
ბრაზილია	10	10	0	20
საბერძნეთი	10	4	6	14
ესპანეთი	10	3	7	13
პორტუგალია	10	3	7	13
<b>B ჯგუფი</b>	თ	მ	გ	ქ
ბულგარეთი	10	7	3	17
საფრანგეთი	10	7	3	17
პოლონეთი	10	6	4	16
იაპონია	10	0	10	10
<b>C ჯგუფი</b>	თ	მ	გ	ქ
სერბეთი	10	8	2	18
იტალია	10	7	3	17
ჩინეთი	10	3	7	13
კუბა	10	2	8	12

## მედლების აკიდო ყველა მხრიდან

**ბიბა ბარასპილი**

რომელი ერთი უნდა გამოყო? - ძილე, მძლეონობა, წყალში ხტომა, თავისუფალი ჭიდაობა. ამიტომაც გადავიწყვიტეთ, გავგვითიანებინა. სხვა რომ არაფერი, ერთიან ქართულ სპორტულ ოჯახზე საუბარი. საერთო აქვთ სკოლაც. ისინი თბილისის მერიის სასპორტო სკოლის მოსწავლეები არიან.

ზემოთ ჩამოთვლილი სახეობების მიმდევრებს ახლახან სხვადასხვა მხარეს უწვევლი მტოკეებთან გაჯიბრება. მათი უმეტესობა, ვისზეც დღეს ვსაუბრობთ, მოზარდები, ახალგაზრდები არიან, თანაც, ძალიან ყოჩაღები. ყოჩაღობა კი ნდავლის რაოდენობაში გამოიხატება – 28 მედალი!


ჯერ სპორტის დედოფალს დავუთმოთ ასპარეზი. ამ შემთხვევაში კვარცხლებლის საფეხურის ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ბაქოში დამთავრებულ ოლიმპიური თამაშების საკვალი ფიციკაციო მეჯობრებაზე ბირთვის მკერფი მართამ ქვებიძგილი და სამხმტომელი ოლია დუბინა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებულ ლიცენზიებს დაუფლდნენ. ქვებიძგილი

მალ ნათლავილი. მართალი ყოფილა მწერტონელი. შალვა უთუგალის (66კგ) ნაბორიკება რომ არა, უნიკალურ შედეგს მივალწევდით - ანუ ყველა წინაში პრიზორი გვეყვოლებოდა. მიუხედავად ამისა, გუნდსანწყევტია, რომ ოთხ ფინალში გამარჯვებულები უცხოტომელები გამოვიდნენ. რობერტ მშვიდობაძე (50კგ), ბეკა შუკუანი (55კგ), გვი დემეტრაშვილი (73კგ) და ადამ ოქრუაშვილი (90+კგ) ვერცხლის მედლის დასჯერდნენ. მათ ერთი საფეხურით ჩამორჩნენ დავით კარბელაშვილი (81კგ) და სოსო მსხალაძე (90კგ). ერთადერთი, ვინც ჩემპიონობა მოიპოვა, დავით ციხლაშვილია (60კგ), რომელიც, დაპირებისამებრ, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის მიერ დანესებულ ფულად პრემიას მიიღეს.

მოზარდი წყალში მხტომელები ავსტოლის ქალაქ გრაციიდან შინ მედლების აკიდოთ დაბრუნდნენ: ექვ-ექვსი ოქრო-ვერცხლის და ორი ბრინჯაო. ისინი საკმაოდ პრესტიჟულ A კატეგორიის მეცხრე ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობდნენ. თუმცა, მონაწილეობა ზუსტად არ გამოხატავს იმას, რაც ჩვენებმა ავსტრიაში შედგეს. წარმომადგენლობითი 12 ქვეყნის ნაკრებებს შორის ხუთი სპორტსმენით დაკომპლექტებუ-

ლმა საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადვილი დაიკავა ეს მაშინ, როდესაც მასპინძელთა ნაკრებში 22 სპორტსმენი იყო (ავსტრიელები მეორე ადვილზე გავიდნენ, მესამეზე კი - შედეგები). ტურნირზე არ იყო არც ერთი დისციპლინა, რომ საწვეულში ქართველ წყალში მხტომეებს არ დაეკავებინა ადვილი. 14 წლამდედ გაცონებს შორის სალომე ჯულელმა 3 ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო სოფიო ხუციშვილია - თითო ვერცხლისა და ბრინჯაოსი. ამავე ასაკის ბიჭებში შოთა კორასაშვილია ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მიიღო.

მეორე ასაკობრივ ჯგუფში (16 წლამდელებში) ჭოლა ჭანტურია საში ოქროს, ხოლო გიორგი გვეორქიანმა სამი ვერცხლის მედალი დიასაკუთრეს. ჭანტურია 14 წლისაა, ხოლო გვეორქიანი - 15-ის. რამდენიმე დღეში ჭანტურიასა და გვეორქიანს აახვნი (გერმანია) ოუნთონთა ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობა უნდა. ისინი ცალკეულ დისციპლინებშიც იასპარეზებენ და სინქრონულ მხტომეებშიც გამოვლენ. ევროპის ჩემპიონატზე 32 ქვეყანა ჩავა. დაახლოებით ორი კვირის წინათ ამ ტრანდემმა როტერდამში ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირზე სინქრონულ ხტომეებში პირველი ადვილი დაიკავა.



ნაცა ბრიგორაშვილი

## დროა!

საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია! გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. როდესაც ევროპის ჩემპიონატი იწყებოდა, არავინ იფიქრებდა, რომ ბერძნები თუნდაც ქვეჯგუფის ბარიერს დაძლევენ, მაგრამ... აი, რას შერება შემართება და დისციპლინა. აბა, წარმოიდგინეთ, რომ ბერძნების მთავარი მწერტონელი ვილაც ბერძენი ყოფილიყო, მაილწევდნენ ამდენს? ვერა! ქვეჯგუფიდანაც კი ვერ გავიდოდნენ. მოკლედ, ასეა თუ ისე, ბერძნები ევროპის ჩემპიონები არიან და ჩვენ ამითი არაფერი მოგვგებტეზია. არადა, ევროპის ჩემპიონატი რომ დაიწყო და ბერძნებმა პორტუგალიელებს მოუგეს, უბრალოდ ვთქვი, საბერძნეთი ევროპის ჩემპიონი გახდება-მეთქი.

ჩვენ (ამ შემთხვევაში ქართველები) ვსხედვართ ტელევიზორებთან და თვალს ვადევნებთ იმას, თუ როგორ იბრდება ფეხბურთის პოპულარობა და კლასი ევროპის (და არა მარტო ევროპის) არასაფეხბურთო ქვეყნებში. ვუყურებთ იმას თუ, როგორ პროგრესს განიცდის საბერძნეთი, ჩეხეთი, შვედეთი და ა.შ. მაგრამ ჩვენ რა? არც ადამიანისთვის რომ ვწერდ ამ წერილს, აუცილებლად გეტყოდით, ჩვენ რაც, მაგრამ ახლა მერიდება, ბოლოს და ბოლოს, ეს წერილი ხომ ხალხმა უნდა ნაიკითხოს.

ჩვენც გვინდა, რომ საქართველოს ნაკრები (ამ შემთხვევაში საფეხბურთო) ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე მოხედეს; ჩვენც გვინდა, რომ საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიელები, ფრანგები და ჩეხები დაამარცხო; ჩვენც გვინდა, რომ ქართველი ფეხბურთელი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახლო; ჩვენც გვინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სისარულესიდან იტიროს... მაგრამ ამას კარგა ხანს ვერ ვეღირსებთ. რატომ? რა კითხვაა, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ახალი თაობა წინაზე უარესია (საფეხბურთო თვალსაზრისით); იმიტომ, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე სამას კაცზე მეტი კი იმის და ისინიც იმიტომ, რომ საქმე არა აქვთ; იმიტომ, რომ ეროვნული ჩემპიონატი ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაში მსაჯებს ურტყავენ ისე, ისე, რომ ფეხზე ვეღარ დგება; იმიტომ, რომ არავინ არის დანიტრესტული ფეხბურთის აღორძინებით და სწორედ ახლა, როდესაც მსოფლიო ფეხბურთი საიქიოს გაემგზავრა და პატარ-პატარა ქვეყნების ფეხბურთმა იზეიმა, სწორედ ახლა უნდა გავიფიქროთ ფეხბურთი იმ სამყაროში, რასაც მომავალში მსოფლიო ფეხბურთი დავრქმევა.

ვის შეუძლია ხელი შეუწყოს ქართული ფეხბურთის აღორძინებას? მე არ ვიცი, ვის შესწევს ამის ძალა, მაგრამ ვიცი, ვის და რას არ შეუძლია საქართველოში ფეხბურთის განვითარება. მაგრამ ახლა ამაზე უმაპარაკი, ფიქრობ, უადგილოა. ჯობს ისევ იმაზე ვიფიქროთ, თუ რისი გაკეთება შეუძლია თითოეულ ჩვენგანს ქართული ფეხბურთის ასაღორძინებად.

მე გეტყვით, მე რა შემიძლია, თქვენ კი დაფიქრდით და გააანალიზეთ, რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისთვის, რომ ქართველ ფეხბურთელებს, ეროვნულ ჩემპიონატში კარგად ჩატარებული შეხვედრის შემთხვევაში, ფულადი პრემია გადასცენ და არა ერთი ტომარა კარტოფილი და მძიმის შებოლილი ნეკი. მე გავაკეთებ იმას, რომ ვიღი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე (მომწონს ეს თუ არა); ქართული ფეხბურთის აღორძინებისთვის თუ არსებობს საკვლამოქმედო ფონდი, კვირაში ერთხელ მაინც, სიმბოლურად, თითო ლარს შევიტან; როდესაც ჩვენს ნაკრებს გოლს გაუტანენ, არ დავნივებ მათ ლანძლას, პირიქით, გავამხნევებ. აი, რისი გაკეთება შემიძლია მე (ყოველ შემთხვევაში, ახლა ამის მეტი ვერაფერი მოვიფიქრე). თქვენ რას გაკეთებთ? თქვენც იგივე გაკეთებ, რასაც მე ვაპირებ და, მერნშუგეთი, ჩვენ თუ არა, ჩვენი შულები მაინც მოეწონებიათ იმ დროს, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ფეხბურთში ანგარიშგასანევი ძალა გახდება.

არ გვეგონოთ, თითქოს ფიქრობ, რომ მარტო მე ვზრუნავ ქართულ ფეხბურთზე. არა, ზუსტად ვიცი, რომ ასე არ არის. ვიცი, ძალიან ბევრი ქართველი გულშემატკივარი იგივეს ფიქრობს, რასაც მე. უბრალოდ, მე შანსი მომიცა, ჩემი აზრი სხვადასა და ვაგუზიარო, რასაც დიდი სიამოვნებით ვიყენებ.

თქვენი წერილები მოიტანეთ შემდეგ მისამართზე:  
**ვათა ფშავალას N45 ან გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე snaveriani@24hours.ge**


სამსახურითი. 6 ივლისი	
<b>HTB+ФТБОЛ</b>	სო გუნდები ჰოკეიში". გადაცემა მეხუთე
06:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა	14:05 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Ice Dreams"
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "HOUSTON ROCKETS" - LOS ANGELES LAKERS"	15:00 სანკლოსნო მოტოსპორტი. რუსეთის ჩემპიონატი. ნანალი მეორე
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება	16:15 ნიკოგურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები
12:00 თავისუფალი დარტყმა	19:15 წყალში ხტომა. გრან-პრი მექსიკაში. ფინალი. დღე პირველი
12:15 განვლილი სეზონის გახსენება.	21:20 სახვლიო ტელეპროგრამა
15:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონის ჩემპიონატი. "მილანი" - "პარმა"	21:30 "ცხელი ქვიშა". ტელევიზიული
14:00 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა	22:30 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი
15:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაიმედ"	23:00 ბრძოლა ნესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
15:30 თავისუფალი დარტყმა	00:10 ახალი ამბები
15:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/01. "რეალი" - "ლაციო"	00:25 ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვის პირამიდა
17:30 განვლილი სეზონის გახსენება.	01:25 01:25-დან 02:25-მდე შესვენება
ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "მიდლსრო"	02:25 ფეხბურთი. ამერიკის თასი. ვენესუელა - კოლუმბია. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 თავისუფალი დარტყმა	04:25 04:25-დან 05:10-მდე შესვენება
19:30 სახვლიო ტელეპროგრამა	05:10 ფეხბურთი. ამერიკის თასი. პერუ - ბოლივია. პირდაპირი ტრანსლაცია
19:35 ლობრეტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა. სეზონის შედეგები	
20:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/01. "ბავარია" - "სპარტაკი"	
21:30 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალ სოსიედადი" - "რეალი"	
00:05 განვლილი სეზონის გახსენება. სოფლის რემპიონატი. "ფეიერიორი" - "აიაქსი"	
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება	
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა	
03:30 NBA TV. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT SHOCK" - "HOUSTON COMETS". პირდაპირი ტრანსლაცია	
05:30 NBA TV. სორთიბოლი. Entertainers Basketball Classic	

EUROSPORT	
10:30 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო თასი უნგრეთში	
11:00 მძლეონობა. სუპერ გრან-პრი საბერძნეთში	
12:45 მულტისპორტი	
13:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური პუერტო-რიკოში	
14:15 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა	
14:30 სპიდუი. დანისი გრან-პრი	
15:30 მულტისპორტი	
16:00 ევროპოლა. ტურ დე ფრანსი	
20:00 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში	
22:00 მძლეონობა. სუპერ გრან-პრი მეციკარიაში	
00:05 ევლორობლა. ტურ დე ფრანსი	
02:00 ევროსპორტის სიახლეები	
02:15 ნასკარის ავტორბოლები. ნესტელის თასის სერები აშშ-ში	
03:15 ინტელი. ამერიკის ავტორბოლები. სერიები აშშ-ში	





# ხელოვნურად შედგენილი მარშრუტი



ინტერნეტი ყველაზე კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ თანამედროვე კულტურული ცხოვრების გლობალურმა შევიგრობოთ. ონლაინ რეჟიმში ჩართული საძიებელი ათობით ახლად გახსნილი გამოფენის, კონცერტის, პრემიერის, აუქციონის შესახებ გვამცნობს. მათი უმრავლესობის დათვალიერება იქვე, უხილავი ბმულებით დაკავშირებულ ვებ-გვერდებზე შეგვიძლია. კომპიუტერის მონიტორზე, ქვედა ნაწილში, გამოჩნდება ციმციმებს ახლად ჩატვირთული საიტების ფანჯრები – მეტროპოლიტენში, გეტის მუზეუმში, ტიტისა და პომპიდუში შესახებ "გაჭრილი". ციმციმებს და ჩვენც ნამებზე ვკვეთთ ათასობით კლონ-მეტრს, ვამარცხებთ სხვაობას დროში და სიმულტანურად ვხვდებით ერთდროულად ყველაფერს – ყველა სასურველ ექსპოზიციას, ყველა სასურველ მუზეუმში.

ეს ინტერნეტის ესთეტიკაა, ანდა, მისი ამოუწურავი შესაძლებლობების გააზრებით აღძრული სენტიმენტალიზმი. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, ახლა ინტერნეტს გასული კვირის რამდენიმე სიხალისის განსახილველად გამოვიყენებთ. <http://www...>-ი კიდევ ერთხელ დაგვცხადებს, დავიწყებთ გადასაადგილებლად საჭირო საათები და კლონტრები და აღმოვჩნდეთ ორივე სასურველ ადგილას – ლონდონსა და ტოსკანას პატარა ქალაქ ვინჩიში.

ეს ხელოვნურად შედგენილი მარშრუტია, რომელსაც გასულ კვირას მომხდარი მნიშვნელოვანი

კულტურული სიახლეები აერთიანებს.

დავიწყებთ ლონდონს. ბრიტანეთის დედაქალაქში ფრიად არასპორტული, მაგრამ მაინც სასიამოვნო ახალი ამბავი დახვდა. ჰაიდ პარკის ის აღარ იყო, რაც გუშინ. იქ უკვე დგას უელსის პრინცესა დაიანას ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური შადრევანი, დაიხსნორედ რომ მემორიალური შადრევანი და არა – ტრადიციული, კლასიკური ქანდაკება ანდა კონცეპტუალური ინსტალაცია.

ბრიტანელებმა ასე მოისურვეს, საყვარელი ლედი დის გასახილველად წყლის სტიქია არჩიეს – თავისუფალი და მღელვარე, ანუ ინგლისის კონსერვატორული ტრადიციებისგანაც შორს მდგომი და ახალი საუკუნის არტ-ისტული ჩარჩოებისგანაც.

36 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების პროექტი ამერიკელმა დიზაინერმა ქეთრინ გუსტავსონმა განახორციელა. თავიდან დაიანას ცხოვრების მეტაფორად წყლის არჩევას დიდი უმჯობესობა მოჰყვა. გაღიზიანებული ჩანდა პრინცესას დედაც. აზრთა სხვადასხვაობა, ცხადია, დღემდე გრძელდება. ზოგს შადრევანი იდეა მოსწონს, ზოგს – არა. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ახლა რეალობას ვეღარავინ შეცვლის. ჰაიდ პარკში, სერპენტინის ხელოვნური ტბის მიმდებარე პეიზაჟი უკვე ძირფესვიანადაა შეცვლილი.

ხასხასა მწვანე მინდორზე, თი-

თქოს მინიდან ამოზრდილი გრანიტის ქვის კალაპოტი წრედ იკრება. ფართობი ასეთია – 80/50 მეტრზე. წონა – 700 ტონა. ორ ნაწილში მცირე ზომის კიბე კეთდება, რის გამოც წრეზე მჩქეფარე წყალი მინი-ჩანჩქერსაც კმნის. წყალი ქვის ბეჭდის ყალიბში ორი საპირისპირო მიმართულებით მუდმივად ტრიალებს, კალაპოტის სხვადასხვა ნაწილში – სხვადასხვა ძალით. მსურველებს შეეძლება, ქვის ბეჭდის მიგონი შესვლაც, რადგან შადრევანის გული ბეჭდების სათამაშო მოედნადაა ჩაფიქრებული.

ფილოსოფიის მოყვარულები კი უკვე სხედან და მემორიალური შადრევანის კონცეფციას მსჯელობენ. წრეში მბრუნავი წყალი მათ დაიანას ცხოვრების ციკლად ესახება, თვისი აღმართ-დაღმართებით და ბოლოს დაშრობით.

"გარდაიანის" ჟურნალისტსაც უჩნდება ოდნავ ირონიული ფილოსოფიური ასოციაციები. "დაიანას შადრევანს გარშემო ქვიშიანი სანაპიროს ნაცვლად, ყინულივით ცივი და სალი ქვის სარტყელი აკრავს... ისევე როგორც სიცოცხლეში, გარდაცვალების შემდეგაც, მშფოთვარე პრინცესა ყოფილი ქმრის სასტიკი რეალობითაა გარშემორტყმული", - წერს ჯონათან გლენსი.

თუმცა, რაც არ უნდა ყინულივით ცივი იყოს დაიანას რეალობა, დღეს, 6 ივლისს მემორიალურ შადრევანს სწორედ ამ "სასტიკი და ცივი გარემოს" წარმომადგენლები გახსნიან: დედოფალი ელისაბედი, მისი მეუღლე და უელსის პრინცი.

თუმცა, კლიმატის დათბობაზე იზრუნებენ ახალგაზრდა პრინციები ულიამი და ჰარი და დაიანას მამა ერლ სპენსერი.

ახლა კი დავტოვებ ჰაიდ პარკს, სადაც ახლო მომავალში გასართობად და სამსჯელოდ, შადრევანის გარდა, საიმონი და გარფანკელის 15 ივლისს დაგეგმილი კონცერტიც ეყოფათ. და გადავიხილავთ კომპიუტერის მონიტორზე აციმციმებულ მეორე ფანჯარაში. იქ უკვე მოჩანს ვინჩი – ფლორენციის ჩრდილოეთით მდებარე, ტოსკანას მთიანი დასახლება, 14 ათასი მაცხოვრებელი. ეს ლეონარდო და ვინჩის დაბადების ადგილია. ვინჩის საამაყოდ მეტი ვინჩისი არ პყავს, მაგრამ ამ პატარა ქალაქისთვის, რომელიც რუკაზე ნესიერად არც მოჩანს, ესეც საკმარისია.

ვინჩის ლეონარდოს წყალობით ტურისტები არასოდეს აკლია. 1 ივლისიდან იქ ლეონარდოს გაფართოებული და გადიდებული მუზეუმი მოქმედებს. მართალია, კედლებზე მონა ლიზას რეპროდუქციაც კი არსად ჩანს, მაგრამ მუზეუმი მაინც საშობეა ყველა იმ აღამიანისთვის, ვისაც მხატვრის ნაკლებ ცნობილი მხარეები აინტერესებს – მაგალითად, მისი ავტომობილები. როგორც ამბობენ, ეს გახლავთ ისტორიაში პირველი თვითმობრავი მოწყობილობა. ლეონარდომ ის დაახლოებით 1478 წელს დახატა, ანუ, 431 წლით ადრე, ვიდრე ჰენრი ფორდის მოდელი "თი" აენჭობოდა ქალაქში, რომელსაც დეტროიტი დაერქვა და რომელიც იმ მინაზე დააარსეს, ქრისტოფორე კოლუმბს ლეონარდოს დროს აღმოჩენილი რომ არ ჰქონდა.

"ასაკში შესვლასთან ერთად, ლეონარდო სულ უფრო მეტ დროს უთმობდა მსგავს სკეჩებსა და ჩანახატებს, ვიდრე ხელოვნებას", - განმარტავს მუზეუმის დირექტორი რომანო ნანი. ვინჩიში ხომ მხატვრის მიერ ასე დაუდევრად "ჩანახატული" ვერტმფრენის, წყალქვეშა ნავის, ტანკის, რობოტის, პარაშუტის, მექანიკური კალკულატორისა და კიდევ მრავალი სხვა ისეთი ნივთის სკეჩი ინახება, რომლებმაც რეალურად დღის შუქი მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ იხილეს.

ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ თავისი ეპოქისთვის ასე შეუფერებელ და პროგრესულ იდეებს ლეონარდო ერთი კონკრეტული მიზნით აზრებდა. "ჩვენი აზრით, მხატვარს სურდა, თავისი დიზაინით შექმნილი მოწყობილობა სამეფო კარზე გაეტარებინა და იტალიაში სტუმრად ჩამოსული მეფის წინაშე წამდელი ფურორი და სენსაცია მოეხდინა", - ვარაუდობს რომანო ნანი.

ვინჩის მუზეუმში, ასევე, ინახება ლეონარდოს დიზაინით შექმნილი ოქროს ჩამომსხმელი, ოქროს ფურცლებისა და ძაფების დასამზადებლად. ის, როგორც ჩანს, მზის ენერჯითა და სარკეებით წყლის გაცხელების კონცეფციასაც მუშაობდა.

ერთი სიტყვით, პატარა ქალაქი ვინჩი ტოსკანას ცხელ მზესა და მშვენიერ ბუნებასთან ერთად, ლეონარდოს ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილი ეპიზოდებითა და ექსპონატებითაც უმასპინძლებდა სტუმრებს. ხოლო თუ თქვენ, ვინჩისა და სხვა სასურველი გამოფენებისა და მუზეუმების მონახულებას რეალურ დროსა და სივრცეში მოახერხებთ, მართალია, აღარ გექნებათ სიმულტანურობის დაუწყვარო განცდა – კომპიუტერის მონიტორზე აციმციმებულ ფანჯრებს რომ მოაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, დაგრჩებათ უფრო სავსე და ხელშესახები შთაბეჭდილება. თუმცა, მანამდე, ინტერნეტში, ხელოვნურად შედგენილი მარშრუტებით მიღებულ მეორად, ვირტუალურ და ზედაპირულ შთაბეჭდილებებს დავჯერდეთ.

**სასკოლო მეთოდური გაზეთები**

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთავი 2 პრინტი" გათავაობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდური გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაყვითლო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებზე ხელმოწერა ჩატარდება 2004 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე გაზეთებს მიღებით აღვილებზე 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.

**საქართველო**

საგანმანათლებლო და საგნობრივი მეთოდური გაზეთები

**მისამართი:** თბილისი, რუსთაველის 42, მე-3 სართული, ტელ.: 93-50-84, (899) 55-15-84

**საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“**  
გთავაზობთ:

**კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:**

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისება მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- დოკუმენტის ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერატიული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: **ე.უზნაძის N70**      **ტელ: 29-48-81**

ვებ-გვერდი: **WWW.MZURI.GE**

**თქვენი რეკლამა**  
**ჩვენს გაზეთში**

**20-24-04**  
**20-00-24**

**საქართველო**

**შეიძინეთ გაერთიებული მოიგეთ!**

ყოველ შაბათს, რუსთაველის 2-ის პირდაპირ ვთქვით განმარტება ტოტალიტატორ "საოცებო ტოტო" გათავაზდება.

ფორმა "ფინქი" ვებ-გვერდი.

დაწვრილობითი ინფორმაცია და კომუნიკაციების სხილი ინტერნეტზე "24 საათი"

**ნამალი "სალხინო"**  
**ქართული ფლორის საოცრება**

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტატი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერხლის პაგეტა მინება, სუნი ან გამოწვინა; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის ნეთ-ნეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუწყველობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესხნება.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეციტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლის დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აცილებთ მასტიტს და გათმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.